რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 19 სექტემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., [illegible] ცალკე ნომერი 12 კ. [illegible] ჰერიტი(?) [illegible] ჯარისკაცს ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერნი [illegible] Тифлисъ почтов. ящ. 198. Редакція [illegible] რედაქციაში [illegible] დღე 10—12 საათამდე. [illegible] Головинскій проспектъ № 12). ტელეფონი 16—62.

№ 149 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 149

[illegible]

## ივლიტა ჯავახიშვილ ასათიანის ასული ნინიძისა.

[illegible] (3—2)

## პური

### თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

22 სექტემბერს პური გაიცემა პურის წიგნაკის ტალონებით, რომელზედაც აწერია ,,22 ივლისი'', 23 სექტემბერს რომელსაც ,,23 ივლისი'' აწერია და ისე შემდეგში.

პურის წიგნაკის ტალონები 20 და 21 ივლისის გაუქმებულია.

3—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

## ქ. სამტრედიაში გაიხსნა კლასიკური გიმნაზია

ორივე სქესისათვის მე-5—6 კლასის შემადგენლობით.

მე-6 კლასი გაიხსნება, თუ შეხვდება კომპლექტი (20 მოწ.) შეგირდი.

[illegible]

მისამართი: Городъ Самтреди, Председателю Школьнаго Комитета Вл. Ѳ. Папава. [illegible] 3—3

## გზის დამქირავებელთა კავშირი.

## [illegible]

[illegible]

## განცხადება

[illegible] 15 ოქტომბერს 1917 წ. [illegible]

## მეორე (მორიგი) საერთო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.

2) [illegible]

3) [illegible]

4) [illegible]

5) [illegible]

6) [illegible]

7) [illegible]

8) [illegible]

9) სესხის აღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაგრძელებლად.

10. საფუძლო(?) გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოთ.

11) გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციოთ დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.

12) საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.

13) ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ჭიათურის საქალაქო თვითმმართველობის შორის.

14) კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან დაშავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.

15) თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით.

16) 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

17) არჩევნები საბჭოს მთელი შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა. (3—1)

11 სექტემბერს სადგურ გორში

## დაიკარგა

რკინის-გზის მოწმობა და სასეზონო ბილეთი ორი ქალის ერთი კაცის, იარაღის მოწმობა და ოცი მანეთი ფული. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს მოწმობები, ადრესი: თფილისი მთავარ სახელოსნოში, რკინის გზაში, გიორგი ვაძაგაშვილს.

სამშაბათს 19 სექტემბერს 1917 წელ. საღამოს 7 საათზე ეგზარხის მოედანზე სახელოსნო სკოლის დარბაზში მოხდება საზოგადო კრება 4—5 სამილიციო ნაწილში მცხოვრებ პარტიის წევრებისა. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოქმედების ანგარიში, 2) ახალი კოლექტივის არჩევნები, 3) მიმდინარე კითხვები. გთხოვთ პარტიის წევრებს უეჭველად დაესწრონ კრებას და ნუ დაიგვიანებენ. მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ.

### საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად 10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად 10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად 10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად 10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს. 5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ. 5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრალსდება(?) რუს. 20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად 20 „
9. ე[illegible] წიგნაკი ქართულად 20 „
10. ოთხი ძმა ქართულად 35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს. 20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ. 25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ. 25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ. 25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ. 30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი 15
17. უწყება, მე-6 საოლქო თათბირისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი 25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი 20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი 10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს. 20 „
21. რა უნდა მიწას პ. მასლოვისა, რუს.
22. საფრანგეთის რევოლუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი 65 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. ერფურტის პროგრამა კ. კაუცკისა.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაუთმობთ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნეს [illegible], პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацій Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

## ქალაქის თვითმართველობების ყრილობა.

თფილისის ქალაქის თვითმართველობამ მეტად საყურადღებო ნაბიჯი გადადგა. მან თავს იდვა კავკასიის ყველა ქალაქების ყრილობის მოწვევა თფილისში.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს ყრილობა უკვე შეიკრიბება. ახლად არჩეული თვითმართველობები, რომელნიც დღეს დემოკრატიის ხელში არიან თითქმის ყველგან, თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე, ამ ყრილობაზე ერთი მეორეს შეხვდებიან, საერთო ძალით სამოქმედო გეგმას გამოიმუშავებენ, რომ დემოკრატიის წინაშე დადებული პირობა პირნათლად შეასრულონ.

სწორეთ ასეთი პრაქტიკული მიზანი უდევს წინ მომავალ ყრილობას.

ახალი თვითმართველობები თითქმის ყველგან ისეთ წარმომადგენლებისაგან შესდგება, რომელთაც აქამდე ყოველი საშუალება ქონდათ მოსპობილი ქალაქის საქმეებში ჩარევის, სამუნიციპალო ასპარეზზე მოღვაწეობის.

ამავე დროს მათ წინაშე ბევრი უფრო როთული და სრულიად ახალი მიზნები დგას: ძველ თვითმართველობებს, რომელნიც ცენზიან ხმოსნების ხელში იყო, უფლებებიც მხოლოდ ეკონომიური ფარგლებით ქონდათ შეზღუდული და მიზნათ უფრო თავის ამომრჩევლების ე. ი. შეძლებული კლასის, მსხვილი ვაჭრების და სახლის პატრონების ინტერესების დაცვა ქონდათ დასახული. დემოკრატიულმა თვითმართველობებმა კი, პირველ ყოვლისა ქალაქის მდაბიო მცხოვრებთა ინტერესებს უნდა მიხედოს, მან უწინარეს ყოვლისა ფართო მასის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს.

მაშასადამე, იგი ვერ იხელმძღვანელებს ძველი პოლიტიკით, მოქმედების ძველ გეგმით, ძველი პრაქტიკით.

პირიქით, მან ყველა ეს უნდა განაახლოს, შესცვალოს, გააუმჯობესოს.

პირობები კი, რომელშიაც დემოკრატიას უხდება დღეს გამოსვლა, მეტის-მეტათ გართულებულია და გაძნელებული.

მსოფლიო ომმა გამოიწვია ეკონომიური დაცემა ქვეყნის, განადგურება ქვეყნის სიმდიდრის, გამწვავება სასურსათო საკითხის.

ყოველგვარი ნაწარმოები გასაოცარი სისწრაფით ძვირდება, კიდევ უარესი, ძვირ ფასებშიაც ძლივსად იშოვება. აბსოლიუტური ნაკლებობა პირველ საჭირო საგნების—აუცილებლით თხოულობს მის სამართლიანათ განაწილებას მცხოვრებთა შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში სპეკულიაციის მთავარ მსხვერპლათ ღარიბი ნაწილი გახდება, შეძლებული კლასები კი, მთელ ამ პირველ საჭირო ნივთებს ფულის საშვალებით ერთიანათ ხელში ჩაიგდებენ. ამნაირათ გაჭირვება დააწვება ერთიანათ ღარიბ ნაწილს საზოგადოებისას.

აქედან წარმოსდგება სასურსათო საკითხი. ერთი მხრით შოვნა ამ სურსათის, მეორე მხრით მისი განაწილება—დიდ ენერგიას, შრომას და ამასთანავე შეკავშირებას მოითხოვს ქალაქებისაგან.

მეორე მხრით საერთო სიძვირე და შიმშილი ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აგდებს მუშათა კლასს, რომლის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უარესდება. მუშათა პოლიტიკა თითქმის სრულიად მივიწყებული იყო ძველ თვითმართველობებში. ეს საკითხიც ახალმა საბჭოებმა უნდა პირველათ შეიმუშაონ; აგრეთვე მთელი რიგი სხვა პრაქტიკულ კითხვების, რომელნიც დღევანდელმა ცხოვრებამ წამოაყენა და რომელთა დაუყონებლივ გადაჭრა აუცილებელია.

მაგრამ მათი რიგიანად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საერთო ძალით, საერთო გეგმის შემუშავებით ერთი მეორის დახმარებით.

წინანდელი პოლიტიკა, როცა თვითეული ქალაქი თავისკენ იწევდა და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, დღეს უნდა უარყოფილი იქნეს. ან ყველა ქალაქების საერთო კეთილდღეობის მიღწევა—ან ყველას საერთოთ დაქვეითება და არევ-დარევა, ასეთია დღევანდელი დიდებმა ცხოვრებამ თვით გადაჭრა ერთმანეთზე ქალაქების და მთელი მხარის ინტერესები, შეაკავშირა იგი მთელ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

ამიტომ მთელი რიგი კითხვების რომელიმე ქალაქისთვის ცალკე გადაწყვეტა შეუძლებელია, როგორც, მაგ., სურსათის, მუშათა და სხვა საკითხების.

საერთო ჭირით, საერთო მუშაობისაკენ! ასეთია დევიზი დღევანდელი ცხოვრების და ამ დევიზით უნდა გამოვიდეს დემოკრატია დღეს სამოქმედო სარბიელზე.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მომავალ ყრილობას, რომელზედაც, რა თქმა უნდა, ყველა ქალაქები გამოგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ამ საერთო საქმეების საერთო ძალით გადასაწყვეტათ.

## ქართული ეკლესია

გუშინ დასრულდა პირველი კრება საქართველოს ეკლესიისა, რომელმაც აირჩია ქათალიკოსათ ეპისკოპოსი კირიონი, და ამ რიგათ, დაამთავრა საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა.

ჩვენი მამულიშვილების და ნაციონალისტების გაზეთები სიხარულით და ზეიმით ეგებებიან ამ ვითომდა დიდ ნაციონალურ მოვლენას.

მათ ამ ეკლესიის აღდგენაში ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების აღდგენა ეჩვენებათ, მისი ავტონომიური არსებობის განხორციელებას ხედავენ.

ეკლესია თავისუფალია, ეკლესია დამოუკიდებელია, ეკლესია დემოკრატიული გაიძახიან ყოველი ფეხის გადადგმაზე თვით სასულიერო წოდების პირნი და მათი ამყოლდამყოლნი. ამ რიგათ, ყველა ლამაზი სიტყვების არსენალი, რომელთაც კი აქვს გასავალი დღევანდელ რევოლიუციონურ ხანაში, წამოყენებულია.

მაგრამ მართლა შეეფერება ეს სიტყვები იმას რაც დაარსდა? მართლა თავისუფლების და დემოკრატიზმის გამომხატველია დღეს ქართული ეკლესია, ან ასეთი დარჩება იგი მომავალში? ამ კითხვებზე ჩვენ უარყოფითი პასუხით უნდა ვუპასუხოთ.

სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ და ჩვენც ვერ დავფარავთ მოპოვებულ ,,დამოუკიდებლობის'' ზოგიერთ დადებით მხარეებს.

დღემდე ქართული ეკლესია და სამღვდელოება ერთიანათ ბიუროკრატიის ხელ ქვეითი იყო, მისი გამარუსებელი პოლიტიკის იარაღის წარმომადგენლად, სდევნიდენ ენას, ართმევდენ მონასტრებს, იტაცებდენ ისტორიულ ნაშთებს და მიჰქონდათ რუსეთში.

ყველა ამას დღეს ბოლო ეღება, დაჩაგვრის და დამონრჩილების პოლიტიკას ფართა ეკვეცება.

თვით ორგანიზაციაც ეკლესიის იცვლება: იგი ზევიდან დანიშვნის და ბიუროკრატიულათ შენების ნაცვლად არჩევნებზე ეწყარება, დემოკრატიულ ფორმას იღებს. ესაა მთელი მისი ,,დემოკრატიზმი''.

ეს დემოკრატიზმი მისი დადებითი მხარეა, რომელიც უზრუნველყოფს რამდენიმეთ მის ,,დამოუკიდებლობას''.

მაგრამ რას წარმოადგენს ის დემოკრატიზმი ხალხისთვის, ფართე მასსისათვის?

იცვლის ამით თვით ეკლესია თავის ნამდვილ შინაარს თავის უარყოფით მხარეებს?

პასუხი აშკარაა. ეს დემოკრატიზმი მხოლოდ ანთავისუფლებს ქართულ ეკლესიას რუსეთის ეკლესიის პირდაპირი, ადმინისტრატიული ზეგავლენისაგან, იგი რუსი პლატონის მაგიერ უზრუნველ ყოფს კირიონ-ლეონიდების მეთაურობას საეკლესიო სფეროში.

თვით შინაარსი ეკლესიის იგივე რჩება, ერთი ეკლესიის მაგიერ, რომელიც მთელ რუსეთს ფარავდა გვაქვს ორი, სინოდის ნაცვლათ, რომელიც პეტროგრადიდან ბრძანებლობდა,—კათალიკოსი, რომელიც თფილისში იმყოფება.

პირველი და მთავარი არ შეცვლილა.

ესაა დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. ეკლესია მაინც სახელმწიფოსთან დაკავშირებული რჩება. იგი ამიტომ ისევ ამ პოლიტიკურ ძალას უნდა ემსახუროს და თავის მხრივ მაზე დაეყრდნოს. ამ რიგათ იგი პოლიტიკურ როლში გამოდის. სვინდისის საქმე ისევ პოლიტიკურ ანგარიშს ემორჩილება.

სადღაა აქ სინდისის თავისუფლება?

მის მაგიერ ჩვენ გვაქვს თავისუფლება ქართულ ეკლესიის პოლიტიკის, ე. ი. ქართულად შეზღუდვა ქართველ მორწმუნეს სინიდისის.

გამოიცვალა შემადგენლობა, ორგანიზაცია, არ გამოცვლილა თვით შინაარსი. იგი ძველი დარჩა. ორგანიზაცია კი მხოლოდ უფრო შეეგუა არსებულ პირობებს, გაეხვია დემოკრატიზმის სამოსელში. ამ მხრით ეკლესიის ,,დემოკრატიზმი'' მხოლოდ იარაღია ეკლესიის პოლიტიკური მიზნის მისაღწევათ, ე. ი. ქართველთა სინდისის უფრო იოლათ დასამორჩილებლათ.

ბიუროკრატიულ ეკლესიის ტლანქმა პოლიტიკამ ეს ვერ შესძლო და მხოლოდ ეკლესიისადმი გულგრილობა და აპატია დაბადა ხალხში, რითაც ხელიც კი შეუწყო ხალხის განთავისუფლებას სარწმუნოებრივ ბურუსიდან.

განახლებულ ეკლესიას სურს ამ ხალხს მეორე მხრით მოუაროს და ამით მაინც კლერიკალიზმს საფუძველი ჩაუყაროს.

ამაშია საფრთხე ახალი ეკლესიის, და ჩვენი ნაციონალისტები, რომელნიც ამ ეკლესიას ტაშს უკრავდენ და ნაციონალურ მისსიას აკუთვნებენ, ამით თვით უწყობენ ხელს ეკლესიის პოლიტიკურ ორგანიზაციათ დარჩენას. იგი ახლა ქართველ მაღალ კლასებს სურთ თავის პოლიტიკურ იარაღათ გამოიყენონ, თავის ბატონობის ბურჯათ აქციონ.

ჩვენ თვალ წინ გვაქვს მაგალითი ,,დამოუკიდებელ'' ეკლესიის ასეთ ნაციონალისტურ მიზნებისთვის გამოყენებისა, მეზობელ ერებში, სომხებსა და მუსულმანებში, სადაც იგი ხალხის გონების დაბნელების ძლიერეს იარაღათ გამოდის. ყველა ჭეშმარიტი დემოკრატის მოვალეობაა ეკლესიის ასეთ შედეგებს ებრძოლოს.

ჩვენ ამით, რასაკვირველია, არ ვებრძვით სინდისის თავისუფლებას, პირ იქით, მას ვამკვიდრებთ, ვინაიდან სინიდისის თავისუფლება ნიშნავს მის დამყარებას რწმენაზე არა პოლიტიკურ მოსაზრებაზე.

ამიტომ დემოკრატიის მიზანია—ეკლესია სახელმწიფოს ჩამოაშოროს, იგი პოლიტიკის გარეშე დააყენოს, ამით თვით მორწმუნეთა კერძო საქმეთ გადააქციოს.

თავის თავათ ცხადია, ასეთ შემთხვევაში სკოლა—განათლების საქმე—უნდა ეკლესიას ჩამოერთვას და დემოკრატიის მიერ არჩეულ თვითმართველობებს და ერობებს გადაეცეს, ე. ი. სკოლა იქნეს საერო და არა სასულიერო.

ქართულმა ეკლესიამ ამ რევოლიუციის ხანაში მიიღო განთავისუფლება რუსეთის ბიუროკრატიის ჩაგვრისაგან, ეს შედეგია დემოკრატიის ბრძოლის ყოველგვარი ჩაგვრის და შევიწროვების წინააღმდეგ. მაგრამ დემოკრატიას სურს არა ერთი შემხუთველი ორგანიზაციის მაგიერ მეორის წამო კუპვა, არამედ სრული განთავისუფლება სინდისის, სრული და ნამდვილი დამოუკიდებლობა ეკლესიის... ამიტომ დემოკრატია იბრძოლებს ასეთ ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლათ. იგი არ შეურიგდება არც ქართული ეკლესიის პოლიტიკურს მიზნებს და პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას. იგი კვლავინდებურათ ენერგიულათ განაგრძობს ბრძოლას, სარწმუნოებრივ ბურუსის წინააღმდეგ და შეეცდება ხალხს იმ ქვეყნიური დაპირებების ნაცვლათ, გზა უჩვენოს ამ ქვეყნიურ ბედნიერებისაკენ.

# საერთაშორისო ომი.

**საფრანგეთის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. ორი დღის განმავლობაში ინგლისელებმა ტყვეთ წაიყვანეს 1614 კაცი, მათ შორის 48 ოფიცერი.**

**რუსეთის და რუმინიის ფრონტებზე საყურადღებო არა მომხდარა რა—ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ხდება აგრეთვე პატარ პატარა შეტაკებები.**

**კავკასიის ფრონტზე ოგნოტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენს მოწინავე რაზმს შეტაკება ჰქონდა ოსმალთა რაზმთან. მუშის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა რაზმმა გამფანტა ქურთების რაზმი.**

## «სახალხო საქმე» და სასურსათო საკითხი

სურსათის გარშემო ბრძოლის გაჩაღება მეტად სასარგებლოდ მიაჩნიათ ზოგიერთებს. მოქალაქე ა. ხატისოვმა ტაშის ცემა-კი დაიმსახურა ამ კითხვის გამო მორიგ სიტყვის წარმოთქმით. მეორე მოქალაქე თედო ღლონტი, ადგია რა ხატისოვის გზას, მორიგ წერილით უმასპინძლდება თავის მკითხველებს. გავარჩიოთ ზოგიერთი მისი დებულებანი. ბ-ნი ღლონტი ამბობს; „დანამდვილებით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ რამდენათ მართალია კომიტეტის ცნობა, რომ სოფლის მუშები შეგნებულათ (კურსივი ღლონტისაა) ბოიკოტს უცხადებენ ქალაქის მცხოვრებთ და პურს არ აძლევენო". სანამდის ამას დასწერდა, ბ-ნი ღლონტის მოვალეობა იყო მისულიყო კომიტეტის წევრებთან და გასცნობოდა საქმის ნამდვილ ვითარებას. თუ ეს მას არ შეეძლო, თვითონ უნდა შეეკრიბა ადგილობრივი ცნობები, როგორც პუბლიცისტს, თუ ვერც ამას მოახერხებდა, გადაეთვალიერებია რუსეთის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის ჟურნალ-გაზეთობა და საერთო ცნობებიდან შესაფერი დასკვნა გამოეყვანა. არც ერთი ეს მან არ ინება. შეიძლება ერთი მაინც მოახერხოს, ჩამობრძანდეს ქალაქ გორში და გაეცნოს იმ სასურსათო აღწერილობას, რომელსაც აწესრიგებს ბ-ნი მაჭავარიანი. იქ ის ნახავს მეტად საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს.

ბ-ნი ღლონტი არ არის კმაყოფილი რეკვიზიციით. ამით არც ჩვენ ვართ კმაყოფილი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ყველა სახელმწიფოები (იმათ შორის ისინიც, ვინც ომს არ ეწევა) მიმართავენ ამ უკიდურეს საშუალებასაც, როდესაც ყველა სხვა გზები, რომელზედაც მიუთითებს ბ-ნი ღლონტი, შესაფერ ნაყოფს ვერ იღებს. ამ ომის დროს როდესაც ახალგაზრდობას, ჩვენ მომავალ იმედს, ყოველ წელიწადს უშვებიან რეკვიზიციას, რით უნდა გაუკვირდეს ვინმეს ზედ-მეტი პურის ჩამორთმევან იმათ, ვინც სოფლის შედარებით მდიდარ კატეგორიას ეკუთვნიან, ხოლო სოფლის ღარიბ მუშებს არავინ ერჩის, ეს თავისთავად ცხადია.

რაც შეეხება ნიხრს, არც ეს არის მალამო, რომელიც განკურნავს დღევანდელ სენს. ვერც ერთ სახელმწიფოში (თვით გერმანიაშიაც) სავსებით ვერ იცავენ ნიხრს. ვაჭრები ყოველთვის შოულობენ მისი დარღვევის საშვალებას. მიუხედავად ამისა, ნიხრს მაინც აწესებენ, რადგანაც თავისუფალ ფასების რეჟიმში, ახლა უარესი სიძვირე იჩენს თავს.

დასასრულ ბ-ნი ღლონტი რჩევას იძლევა დავთესოთ პური. კარგი და პატიოსანი, როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, სამეგრელოში გადაუწყვეტიათ პურის დათესვა. იქ მხოლოდ ქართლის ხორბალი გამოდგება. მაგრამ ქართლში მოუხსენებიათ: მოგვიტანეთ ჩითეულობა, რკინა, შაქარი და ხორბალს მოგცემთო. ჩვენის ცნობით, სამეგრელო ჯერ-ჯერობით არ იძლევა ამ საწინდარს. პურის დათესვა სამეგრელოში კი აუცილებელია და სასარგებლო თვით ქართლისთვის. როგორ მოვაწყოთ ეს საქმე? ეგებ ამ საქმისთვის მაინც დასჭირდეს საგუბერნიო კომიტეტს რეკვიზიცია? როგორც მკითხველი ხედავს, კრიტიკა და წერილების შემუშავება ადვილი საქმე ყოფილა, ხოლო დღევანდელ დაწყევლილ ომის დროს, საქმის მოგვარება მეტად ძნელი.

დანარჩენ კითხვებს, თ. ღლონტისგან დასმულს აქ აღარ ვეხებით მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ზომებში, ზოგი აშკარათ გამოუსადეგარია, ზოგი კი უკვე მიღებული და კიდეც ხორციელდება.

ბ. თეკლათელი.

## დემოკრატიის თათბირი.

(პ. დ. ს.)

**პეტროგრადი.**

(სამწუხაროდ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო არეულად გადმოგვცემს თათბირის ანგარიშს. შარ. კვირის ნომერში დაიბეჭდა კერენსკის სიტყვის უკანასკნელი ნაწილი, დღეს კი მივიღეთ პირველი და მეორე ნაწილი, ჩვენც იძულებული ვართ ისე მივაწოდოთ თათბირის ანგარიში ჩვენს მკითხველებს, როგორც სააგენტო გადმოგვცემს. ქვემოდ დაბეჭდილი კერენსკის სიტყვა არის პირველი ნაწილი).

**კერენსკი.** დემოკრატიის კრების წინაშე, რომლის ნებით და რომელთანაც ერთად ვსჭედდი რევოლიუციას, მე არ შემიძლია ვილაპარაკო, სანამ არ ვიგრძნობ, რომ აქ ისეთი არავინ მოიპოვება, რომელმაც მე მისაყვედუროს. (ხმები; „არის") მისაყვედუროს, ისე როგორც ამ ბოლო დროს ბევრი მისაყვედურებდა და ცილს მწამებდა (ხმაურობა და ტაშისცემა). ნება მომეცით გაგაცნოთ რა არის კორნილოვშჩინა, რომელიც თავის დროზე მე გამოვააშკარავე და ჩავაქრე კიდეც (ხმები: თქვენ კი არა დემოკრატიის საბჭოებმა) ლიის დემოკრატიის, რადგან რასაც მე ვაკეთებ, ვაკეთებ დემოკრატიის სახელით (მქუხარე ტაში) თქვენ გახსოვთ, რომ როცა დაიწყო შეტევა, დემოკრატიის ერთი ნაწილი ამბობდა თითქოს მე მინდოდა ნაპოლეონობა დამეჩემებინა. მაშინ მე ვამბობდი, რომ, როცა თქვენ რევოლიუციონურ მთავრობას ავტორიტეტს უკარგავთ, თქვენ არ იცავთ ჯარის რევოლიუციონურ დისციპლინას (დამახინჯებულია)... მართალია, სანამ გალიციიდან სამარცხვინოდ უკან დავიხევდით. მაგრამ ისეთი საშინელი უკან დახევა კი არ იყო, როგორც კალუშში, ტარნოპოლში და სხვა ადგილებში მოხდარი დარბევა აწიოკება. ეს დიდი ცვლილების მომენტი იყო, როცა ბევრს ეჭვი შეეპარა რევოლიუციონურ მთავრობის ძალაში და იმ იდეაში, რომლისთვისაც ჩვენ ჯარში მივდიოდით. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე წინდაწინ გავიგე, რომ სამხედრო შეთქმულობისთვის ემზადებოდნენ. მე დღითი დღე საჭირო ზომებს ვღებულობდი და ვიბრძოდი, რომ ეს შეთქმულება არ მომხდარიყო. (ხმები მარცხნიდან: „რუსეთის რევოლიუციის პირველი გენერალი", წესიერების დარღვევისთვის პროტესტს აცხადებენ) ჩემთვის სულ ერთია როგორც შეხვდებიან ჩემს სიტყვებს ისინი, რომლებსაც განზრახვაც ჩემი არ სჯერათ, ან ისე გვაჩვენებენ თავს თითქოს არ სჯეროდეთ. მუდამ, როცა რევოლიუციონურ წეს-წყობილების დანგრევის განზრახვა თავს წამოყოფდა, მარჯვნიდან იყო ეს თუ მარცხნიდან, უპირველეს ყოვლისა იწყებდენ ჩემს ლანძღვას და ათასგვარ ცილის წამებას სთხზავდენ ჩემს წინააღმდეგ, ეს გარემოება მე მარწმუნებს, რომ ის გზა, რომელიც მე ავირჩიე და რომელზედაც მთელმა რუსეთის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ დამაყენა, ერთად ერთი გზაა, რომელიც იხსნის ქვეყანას ისე, რომ არავითარ დიდ ავანტიურას ადგილი აღარ ექნება, სულ ერთია საიდანაც უნდა იყოს ის (ტაშის ცემა) დროებით მთავრობას თავიდანვე მათვარ ბანაკიდან ულტიმატუმს უყენებდენ. დიდი ხნის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას ვეწეოდით მათ წინააღმდეგ, რომლებსაც სურდათ შეიარაღებული ძალით იმ გზაზე დავეყენებინეთ, რომელიც ქვეყნისთვის დამღუპველი იყო, ეს იარი სისტემის ბრძოლის დრო იყო. ისინი სარგებლობდენ ყოველ ფრონტზე თუ შიგნით მომხდარ უბედურებით, რომ ყოველთვის ულტიმატუმი წამოეყენებიათ ჩვენთვის. მოსკოვის თათბირის წინ მე იძულებული ვიყავი შემესრულებია განსაზღვრული მოთხოვნა. მოსკოვის თათბირზე მოთხოვნები უარვყავ. კორნილოვი მთავრობის მოხსენების შესახებ ცნობებს არ დებულობდა (?) არავის არ დაუშლია მოსკოვის თათბირი. რადგან ფრონტი პეტროგრადს დაუახლოვდა საჭირო შეიქნა პეტროგრადის გარშემო სამხედრო მდგომარეობის შეცვლა. (ამ სიტყვის დანარჩენი უკვე დაიბეჭდა კვირის ნომერში.)

**კამენევი** (ბოლშევიკი) დროებით მთავრობის სხვადასხვა შემადგენლობის ექვსი თვის მუშაობა საბუთს გვაძლევს არავითარი ნდობა არ გამოუცხადოთ იმ მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგას კერენსკი (კრების ნაწილი პროტესტს აცხადებს. ბოლშევიკები ტაშს უკრავენ) კამენევი ეხება ჩერნოვის სიტყვებს, აღნიშნავს იმ მიზეზებს თუ რატომ წავიდა პეშეხონოვი და ამტკიცებს, რომ აგრარული საკითხების გადაწყვეტა შეჩერდა იმიტომ, რომ ბურჟუაზია არავითარ მოქმედებას არ იჩენდა ეკონომიურ-პოლიტიკურ და სამხედრო რეფორმებისთვის საჭირო პროგრამის განხორციელებისთვის, ურომლისოთაც რუსეთი დაღუპვის გზაზე უნდა მისულიყო. თუ ვერხოვსკი ამბობს, რომ საჭიროა ჯარების კონტრ-რევოლიუციონურ ხელმძღვანელთა გადაყენება, რათა აქვთ ამ ხელმძღვანელთ ხელში სიკვდილით დასჯის იარაღი? ვერავინ ვერ უარჰყოფს რომ სიკვდილით დასჯის შემოღებას პირველმა ხმა მისცეს კორნილოვმა, სავინკოვმა და ფილონენკომ, ეხლა კორნილოვი სატუსაღოში ზის, როგორც აჯანყების მეთაური, ფილონენკოს და სავინკოვის შესახებ იმ პარტიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, საიდანაც იგინი გამოვიდენ, კითხვა არის წამოყენებული რატომ არ დაატუსაღეს იგინი? ბურჟუაზიამ იცის, რომ რევოლიუციის შემდეგი განვითარება პროლეტარიატს, გლეხობას და ჯარის ისეთ მთავრობას წარმოშობს, რომელიც ჯერ არც ერთ ქვეყანას არ მოსწრებია. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ არის ისეთი ბურჟუაზია, რომელიც თავის ინტერესების წინააღმდეგ წავა, ძალიან შემცდარი იქნებით. კორნილოვის პროექტი იყო სიკვდილით დასჯის შემოღება ზურგს უკან, რკინის გზების და ქარხნების მილიტარიზაცია, სამხედრო წესების შემოღება და ცხენოსანთა კორპუსის დროებით მთავრობის განკარგულებაში დაყენება. კორნილოვის ამბების შემდეგ ჩვენ წინ დგას საკითხი მთავრობის შედგენის შესახებ. ბურჟუაზიასთან შეთანხმებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ შეთქმულებმა ხელში ჩაიგდეს მთავრობა. მთავრობას არ შეუძლია მებრძოლ კლასებს შორის ნების როლი ითამაშოს. მთავრობა ან ერთი ან მეორე კლასის ხელში უნდა იყოს. დღემდე ის ბურჟუაზიის ხელში იყო. თუ ეხლა დემოკრატიამ თავის თავზე არ იღვა მთავრობა, მაშინ მან უნდა სთქვას; „ჩვენ ჩვენი ძალის იმედი არა გვაქვს, მოდით ბურიშკინო და კიშკინო და იბატონეთ ჩვენზეო". (სიცილი, ტაშის ცემა), ნამდვილი ოცნება იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენ პროგრამას სინდისიერათ შეასრულებს ბურჟუაზია, საუკეთესო ნაწილი კადეტები. ჩვენ გვეუბნებიან უარი ვსთქვათ ბურჟუაზიის საუკეთესო ნაწილზე და უარესთან დავიჭიროთ საქმე. თუ კარგ ბურჟუაზე უარს ვიტყვით მაშინ არავითარი კოალიცია არ გვინდა, კადეტებმა ნდობა დაჰკარგეს კორნილოვის შეთქმულობით, მათთან შეთანხმება შეუძლებელია. კამენევი მოუწოდებს საზოგადოთ უარი სთქვან ბურჟუაზიასთან შეთანხმებაზე, რომლის უკან გენერლები და უცხო ქვეყნის კაპიტალისტები დგანან და დემოკრატიამ თვითონ მოჰკიდოს ხელი ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეს.

**თავმჯდომარე ჩხეიძე** აცხადებს: კამენევმა სთქვა, რომ პეტროგრადისკენ წამოიყვანეს კონტრ-რევოლიუციონური პოლკები. უნდა ვსთქვა, რომ ჯარში კონტრ-რევოლიუციონური პოლკები არ არის. (ტაშის ცემა) თუ პეტროგრადთან პოლკები მოიყვანეს, ეს იმიტომ რომ იგინი შეცდომაში შეიყვანეს. და როცა მათ გაიგეს რაშიაც იყო საქმე, მაშინვე რევოლიუციონურ ორგანიზაციების მხარეზე გადავიდენ. (ტაშის ცემა).

**ბოგდანოვი.** მოსკოვის თათბირის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში მდგომარეობა ფრიად საშიში შეიქნა. დღეს სეპარატიულ ზავზე კი არა საერთო ზავზე ლაპარაკობენ, რომელიც რუსეთის ხარჯზე უნდა მოხდეს. ამბობენ, რომ რუსეთის მაგიერობას ბრძოლაში სხვა სახელმწიფო გასწევს. ასეთ დროს მთავრობა არა გვყავს. დღემდე ჩვენი მთავრობა მხოლოდ ხუხულას წარმოადგენდა, როგორც ეს იყო თვითმპყრობელობის უკანასკნელ დღეებში. ეს ხუხულა თანდათან ასუსტებს ქვეყანას. მე, როგორც კოალიციის მომხრე, რომელიც პირველ დღიდანვე ამ კოალიციისთვის ვიბრძოდი, ექვსი თვის შემდეგ ვამბობ, რომ რუსეთის დღევანდელ უბედურ მდგომარეობის მიზეზი კოალიციური მთავრობა (ტაში) მთავრობის ერთი ნაწილი მუდამ ხელს უშლიდა მეორეს ნაყოფიერ მუშაობას, აშორებდა მთავრობას ხალხის ფართო ნაწილს. თუმცა საბჭოები მხარს უჭერდენ მთავრობას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. კოალიციური მთავრობა გადადგა. მთავრობა არა თუ მაშინდელ ხალხს, ის უპასუხისმგებლო შეიქნა. ეს უპასუხისმგებლო მთავრობა დღეს არც ერთ საზოგადოებრივ ძალაზე არ არის დაყრდნობილი, რამაც უთუოთ მიზეზი მისცა კორნილოვის გამოსვლას. გამოსავალი გზა ერთია: უნდა განხორციელდეს დემოკრატიის მიერ მოსკოვის თათბირზე წამოყენებული პროგრამა. კოალიციაზე ფიქრი სამუდამოთ უნდა მოისპოს. უნდა შევქმნათ ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის ფართო მასაზე იქნება დაყრდნობილი მის და მისი ორგანოების წინ აგებს პასუხს. (ტაში) ცენზიან ელემენტებში ერთად ერთი კადეტები არიან, მაგრამ ისინი მოსკოვის პროგრამას არ იზიარებენ, ხოლო კიშკინმა, ტერეშჩენკომ და ნეკრასოვმა არ შეიძლება მაგიერობა გასწიონ იმ დიდ პარტიის, რომლებსაც წარმოადგენენ რუსეთის ცენზიანი ელემენტები. ვაჭარ-მრეწველთა ბურჟუაზიასთან ერთად მოქმედებაც შეუძლებელია. ეს უკვე ვსცადეთ, ერთად-ერთი გზა—მთავრობა დემოკრატიის ხელში უნდა გადავიდეს. არა საბჭოებს, არამედ იმ დემოკრატიის, რომელიც აქ არის დღეს წარმოდგენილი. მთავრობა დღევანდელმა თათბირმა უნდა შეადგინოს, აქ უნდა შედგეს ის ორგანოები, რომლების წინაშე პასუხს აგებს ეს მთავრობა. (ტაში).

**წერეთელი.** (როდის თუ არა ტრიბუნაზე წერეთელი, მას მქუხარე ტაშის ცემით ხვდებიან.) ერთ გვარ დემოკრატიულ მთავრობის შედგენა, როგორც აქ ზოგიერთები ამბობენ, შეუძლებელია. თუ კოალიცია გაკოტრდა, ერთგვარი შედგენილი მთავრობა ვერ შეასრულებს იმ მეტ მოთხოვნებს, რომლებსაც მას წაუყენებენ. (ტაშის ცემა). უკე თუ ერთგვარათ შედგენილი მთავრობას ისეთივე პირობებში მოუხდება მუშაობა, რომელშიაც კოალიციური მთავრობა იყო, დარწმუნებული ვარ ბევრი იმედი გაუცრუვდებათ მის მომხრეებს. რატომ ხდება, რომ მთავრობის კრიზისის დროს ცენზიანი ელემენტები გარბიან და არა დემოკრატიის გაყავს თავისი წარმომადგენლები?—კითხულობს წერეთელი. ეს იმის მაჩვენებელი ხომ არ არის, რომ კოალიციური მთავრობა ფაქტიურათ ცენზიან ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდა, ან იმისი, რომ მთავრობაში ყოფნის დროს ცენზიანი ელემენტები აფერხებდენ დემოკრატიის მუშაობას? თუმცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ათასგვარ დაბრკოლებებს ხვდებოდა კოალიციური მთავრობა, მაგრამ მაინც აკეთებდა დემოკრატიის საქმეს. თუ იმას ამბობენ, რომ კორნილოვთან ერთად მთელი რუსეთის ცენზიანი დემოკრატია დემოკრატიის წინააღმდეგ ამხედრდა, ეს შეცდომაა, რადგან კორნილოვისთვის ცენზიან დემოკრატიის უმრავლესობას მხარი არ დაუჭერია, არამედ ავანტიურისტებმა, ხოლო ცენზიანი დემ. უმრავლესობა ან პასიურ როლს ასრულებდა ან წინააღმდეგობას უწევდა, რადგან იცოდა, რომ კორნილოვის გამოსვლა დაღუპავდა ქვეყანას. ეხლა, როცა კორნილოვის აჯანყებას ბოლო მიეღო, ცენზიანი ელემენტები უნდა დარწმუნდენ, რომ ყოველი პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის დაღუპვისკენ იქნება მიმართული ავანტიურა არის და მუდამ დამარცხებული იქნება. კორნილოვის შეთქმულობამ გაამაგრა დემოკრატია და ფრთა შეაკვეცა ავანტიურისტების იმედს. თუ დემოკრატიის პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა ცენზიან ელემენტების მოწვევა, ეს არ ნიშნავს მთავრობის წინანდელ ურთიერთ დამოკიდებულების აღდგენას. დადგა დრო, როდესაც უნდა შევქმნათ სრულიად რუსეთის დემოკრატიის გამომხატველი ორგანო, შევქმნათ მთავრობა, რომელმაც სავსებით უნდა განახორციელოს დემოკრატიის ძველი პროგრამა, რომელსაც 8 ივლისს და 14 აგვისტოს ფორმულიროვკა გაუკეთა მთავრობამ, არა იმიტომ თითქო დემოკრატია ისეთი ძლიერი გახდა, რომ თავისი ნება ძალათ მოახვიოს დანარჩენ კლასებს, არამედ იმიტომ, რომ ეს პროგრამა ქვეყნის სიცოცხლესთან და დაცვასთან მჭიდროთ შეკავშირებულია. წერეთელი ამტკიცებს, რომ ეს პროგრამა ბურჟუაზიის მიერაც მისაღებია. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც ჩვენი პროგრამის მიღების შემდეგ, ცენზიანი ელემენტები უნდა გაქრენ, სწორეთ დაიცავთ რევოლიუციის ინტერესებს, რომ დღევანდელ კრიზისით გამოწვეულ წუთიერ განცდით იხელმძღვანელოთ? დადგა დრო, როცა რუსეთის გარდასაქმნელათ ყველა ძალები უნდა აამოძრავდენ. (ტაშის ცემა).

კრება დაიხურა.

**15 სექტემბერი.**

(დაგვიანებულია).

დღეს თათბირის საზოგადო კრება არ ყოფილა. სხვადასხვა ადგილას მოხდა კერძო ჯგუფების და ფრაქციების კრებები. საორგანიზაციო კომიტეტმა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვრა 16, 17 და 18 სექტემბრის კრებაზე ორატორთა რიცხვი. კრება გაიხსნება დღის 12 საათზე 16 სექტემბერს პირველათ ილაპარაკებენ ყოფილი სოციალისტი მინისტრები: სკობელევი, ავქსენტიევი და ზარუდნი, შემდეგ ქალაქების, ერობათა, პროფესიონალურ და გლეხთა საბჭოების ორგანიზაციების წარმომადგენელნი. საღამოს კრებაზე მხოლოდ მარტო სამხედრო საკითხებს გაარჩევენ. ილაპარაკებს სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და აგრეთვე კერენსკი. ლაპარაკი განსაზღვრულია 5—30 წუთით. როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშიდან სჩანს თათბირის შემადგენლობა ასეთია: დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები—230, გლეხთა დეპუტატების საბჭოს—230; ქალაქების—300, ერობათა და საგუბერნიო ადმასტ. კომიტეტების—200, ჯართა ორგანიზაციის—83, კომისრები—22, ყაზახების—36, ჯარის და გლეხთა სექციის—18, ოფიცერთა—4, დასახიჩრებულ მხედრობის—6, ფლოტის—15, პროფესიონალურ კავშირების—100, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა—12, მასწავლებელთა—15, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულ. მოსამსახურეების—30, ცენტრალურ კოოპერატივების—12, ფერშლების—5, უკრაინის რადას—15, მუსულმანთა საბჭოს—10, ნაციონალურ სოციალისტურ პარტიების—10, ებრაელთა—1, პოლონელთა და ქართველ პარტიულ კავშირისაგან—5, თათბირს სხვადასხვა ადგილებიდან აუარებელი დეპეშა მოუვიდა, სხვათა შორის მიიღო დეპეშა კრონშტადტიდან, 15.000 კაცისაგან შემდგარ მიტინგისგან და მოითხოვენ დაჭერილ ბოლშევიკების განთავისუფლებას და ლენინის და ზინოვიევის დაჭერის შესახებ სასამართლოს დადგენილების გაუქმებას. ბოლშევიკთა ფრაქციამ განაცხადა, რომ ლენინის და ზინოვიევის მაგიერ ორი სხვა დელეგატი იქნება წარმოდგენილი, ხოლო ლენინის და ზინოვიევის არჩევა დემონსტრაცია იყოო. დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლობა საკმაოთ ვერ სცნეს, დეპუტატთა საბჭოების ჭეშმარიტ გამომხატველათ სცნეს სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოიწვიონ. განზრახულია დეპუტატთა საბჭოების ჯგუფის საზოგადო დეკლარაცია.

გლეხთა ორგანიზაციების თათბირზე უმრავლესობამ აზრი გამოსთქვა შესდგეს კოალიციური მთავრობა.

საგანგებო კომისიას მიენდო შეადგინოს ერობათა ჯგუფის საზოგადო დეკლარაცია.

პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელნი კოალიციურ მთავრობის წინააღმდეგი არიან.

ფრონტის ჯგუფის კრებაზე კოალიციურ მთავრობის შესახებს გამოირკვა, რომ ჯარში კოალიციის მომხრეა 2, წინააღმდეგი 1 (?) ხმები გაიყო. ნაციონალურ სექციის კრებაზე მიიღეს დეკლარაციის პროექტი, რომლითაც მოითხოვენ წინადადება მისცენ მოკავშირეებს დაუყოვნებლივ დაიწყონ ზავის შესახებ მოლაპარაკება, რუსეთის ფედერატიულად მოწყობის, ნაციონალურ ავტონომიის და სხვ.

ს.-რევოლიუციონერების ფრაქცია ორად გაიყო: პირველი მოითხოვენ კოალიციას, კოალიციის მომხრეთ გამოვიდა ადესის ქალაქის თავი ლორთქიფანიძე, კითხვა გადაუჭრელი დარჩა.

ბოლშევიკების ფრაქციამ სასტიკათ უარჰყო კოალიცია. მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ხსნა შეუძლია მხოლოდ რევოლიუციონურ დემოკრატიას, რომელმაც ხელში უნდა აიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავე.

გაერთიანებულ ს.-დემოკრატ მენშევიკთა თათბირზე ლიბერმა განაცხადა, რომ ბოლშევიკებმა გამოუშვეს მოწოდება და ურჩევენ საბჭოებს რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლები გამოგზავნონ.

ორატორთა მოთხოვნას წინააღუდგენ ზედმეტ წარმომადგენლების დაშვებას, რომ თათბირი არ ჩაშალონ. ბოგდანოვი წინადადებას იძლევა პროტესტი განაცხადონ კერენსკის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული აქვს მინისტრები დანიშნოს თათბირის გადაწყვეტილებამდე. მთავრობის შედგენის შესახებ, კრებამ დაადგინა თათბირზე პროტესტი გამოუცხადონ უკეთუ თათბირის დადგენილებამდე მთავრობა შეადგინონ.

მენშევიკ ინტერ-ნაციონალისტებმა კოალიციის შესახებ ვერაფერი გადასწყვიტეს.

თათბირის საორგანიზაციო კომიტეტმა და კომენდანტურამ გადასწყვიტა ხვალ გაძლიერონ ალექსანდრეს თეატრის დაცვა, ალექსანდრეს მოედანს ყოველ მხრიდან ჯარი შემოერტყმება. არეულ დარევის თავიდან ასაცილებლად ყველა გაცემული შემოსასვლელი ბილეთები ახლებით შესცვალეს. კრების გახსნისას თავმჯდომარე ჩხეიძემ განაცხადა, რომ ჯერ ყველა ფრაქციებმა ვერ მოასწრეს დღევანდელი კითხვების გამომუშავება და ორატორების არჩევა, ამიტომ პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა საღამოს 5 საათამდე კრების გადადებისა. წინადადება მიიღეს. ლაპარაკობენ ყოფილი სოციალისტი მინისტრები.

**სკობელევი.** ძველმა მთავრობამ დაგვიტოვა მართვა-გამგეობის პოლიციური აპარატი და მოშლილი სამეურნეო ორგანიზმი. რევოლიუციის და ქვეყნის წინაშე ყველაზე მეტათ პასუხის მგებელ რევოლიუციონურ დემოკრატიას ორი დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი: პოლიტიკურ ახალ სისტემის შექმნა და დაუძლურებულ მეურნეობის ფეხზე წამოყენება. თავისთავად ეს ორი საქმე მაგარი ჯაჭვით გადაბმულია მესამე საქმესთან, ეს არის მთავრობის შედგენა. რომ ამ კითხვის გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილიყო კლასის ძალით, მექანიკურათ ხელში ჩაგდებით დემოკრატიას ამის საშუალება რევოლიუციის პირველ დღიდან ჰქონდა. მაგრამ ეს საკითხი ჩვენ სხვაფერ გადავსწყვიტეთ და ვფიქრობთ, რომ ექვსი თვის გამოცდილებამ სრულიად გაამართლა ჩვენი გადაწყვეტილება. რადგან კოალიციის შეფასების საკითხი მორიგ საკითხათ დაისვა. კერძო ელემენტების გამორიცხვით მთავრობის შედგენა ერთი კლასის დიქტატურამდე მიგვიყვანს. მთავრობის წინაშე სდგას საკითხი ქვეყნის აწეწილ დაწეწილ საქმეების მოგვარების შესახებ და საქმეში უნდა მონაწილეობა მიიღონ ყველა კლასებმა, რომლებსაც ქვეყნის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მეურნეობაში მომავალი აქვთ. კოალიციაში ადგილი არ აქვთ იმ კლასებს, რომლებიც უნდა დაინგრენ, მაგალითად მიწის მფლობელ თავად-აზნაურობას, ხოლო სამრეწველო ბურჟუაზიის განცალკევებით რევოლიუციონურ დემოკრატიას მარტოთ არ შეუძლია საქმეს გაუძღვეს. ვაჭარ-მრეწველთა გაშორებით, მთელ ვაჭრობა მრეწველობის ზიდის პასუხისმგებლობა მუშათა კლასს დააწვება თავზე. ერთგვარ რევოლიუციონურ ელემენტებისაგან შემდგარ მთავრობას იმაზე მეტის გაკეთება არ შეუძლია რაც წინანდელმა კოალიციურმა მთავრობამ გააკეთა, წინააღმდეგ, დემოკრატია დაჰკარგავს ხალხში იმ ნდობას, რომლითაც ის ეხლა ძლიერია, რადგან იკისრებს თუ არა მთავრობას მას არ შეუძლია მეორე დღესვე ხალხს მისცეს პური და ზავი. (ტაში) უნდა ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ საკითხი ეხლა უფრო გართულდა, ხოლო დემოკრატია შესუსტდა, პოლიტიკურ თვალსაზრისით. პოლიტიკურ კოალიციის იდეა სცნეს იმ იდეით, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე. მე მომხრე ვარ ბურჟუაზიულ ელემენტებთან კოალიციის, მხოლოდ უნდა განიდევნონ ისეთები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ კორნილოვის აჯანყებასთან. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ რეალური პოლიტიკოსები ვართ, როცა სწყდება ჩვენი რეალურ იმედების ბედი, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიფასებს ისტორია ჩვენს ღვაწლს და სახელმწიფოებრივ კეთილგონიერობას რევოლიუციის პირველ ხანაში (ტაში).

(გაგრძელება იქნება)

## დეპეშები.

(პ. დ. ს.)

17—18 სექტემბერი.

**ფინლიანდიაში.**

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სეიმის დალუქული კარები გასტეხეს და სეიმის კრება გახსნეს ნება დაურთველათ. შეიკრიბნენ უმეტეს ნაწილათ სოც.-დემოკრატები. მიიღეს რამდენიმე საყურადღებო კანონ-პროექტები და დაიშალნენ. გენერალ გუბერნატორმა ბრძანება გასცა საქმის გამოსაძიებლათ.

**ყაზახთა ყრილობა.**

**ნოვოჩერკასკი.** ყაზახთა ჯარების წრის ყრილობა დამთავრდა. სწავლა-განათლების საქმისთვის გადაიდო 200 ათასი მანეთი. კადეტებთან ბლოკის საკითხი დამფუძნებელი კრების არჩევნებში უნდა გადასინჯულ იქნას.

**ერების ყრილობა.**

**კიევი.** დასრულდა ერების ყრილობა. მოსმენილ იქნა მოხსენებები სხვადასხვა ერებთა წარმომადგენლებისა. ომის შესახებ ყრილობამ

# უკანასკნელი ფოსტა.

პეტროგრადის „იზვესტიას" ცნობით გერმანიის ჯარების ფრონტის განკარგულებით რიგაში 6 ლატიში მუშა აღმასრულებელ კომიტეტის წევრები დაუხვრეტიათ, ვინაიდან მათ უარი უთქვამთ 50—60 კაპეიკად დღიურად მუშაობაზე.

— ფინლიანდიის შესახებ „რაბ. გაზ." სწერს: ფინლიანდიის შესახებ საკითხი უნდა დაისვას დემოკრატიის თათბირზე. მთავრობამ უნდა აღუთქვას ფინლიანდიას, რომ ახლად არჩეული სეიმის შეკრების შემდეგ ის ხელს არ შეუშლის ავტონომიის განხორციელებაში.

— „რაბ. გაზ." და „იზვესტია" მომხრენი არიან, რათა დემოკრატიის თათბირიდან შედგენილ იქნას წინასწარი პარლამენტი. „დენი" და „ედინსტვო" ამის წინააღმდეგნი არიან. „ნოვ. ჟიზნის" აზრით მხოლოდ ერთგვარ დემოკრატიულ სამინისტროს შეუძლია იმ ზომათა განხორციელება, რომლებიც დასახული იყო სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიათა დეკლარაციებში. არა სოციალისტური პრესა თათბირს ალმაცერად უცქერის.

---

ის აზრი გამოსთქვა, რომ დაპყრობა ტერიტორიისა არ ნიშნავს შემოერთებას, უკე თუ მცხოვრებნი ამის მომხრენი არ იქნებიან. ყრილობამ აუცილებლად დაინახა რუსეთის ფედერატიულ ნიადაგზე გარდაქმნა. უნდა გაიყოს რუსეთი ავტონომიურ შტატებად საერთო ფედერატიულ ორგანოთ, რომლის მიზანი იქნება გაერთიანება არა მარტო შინაური, არამედ გარეშეც. ამის განსახორციელებლათ საჭიროთ იქნა ცნობილი: შინაური მუშაობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივი დამფუძნებელი კრებების საშუალებით. აგრეთვე დასახული გარდაქმნა რუსეთის რესპუბლიკისა უნდა მოხდეს დროებითი მთავრობის ორგანოებთან გაერთიანებული მუშაობა.

### არეულობის ჩაქრობა.

**ტამბოვი.** ჯარების უფროსმა დაარსა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს დარბევის მონაწილეთა საქმე. ქალაქში სიწყნარეა.

### არეულობა ტაშკენტში.

**ტაშკენტი.** სურსათის სიმცირის ნიადაგზე არეულობა მოხდა. ჯარების მიტინგზე დიდი გასავალი დაუჩა „ბოლშევიკების" ლოზუნგებს. არჩეულ იქნა დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი 14 კაცისაგან შემდგარი. საღამოს სასწრაფო კრებაზე არჩეულ იქნა აღმასრულებ. კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ 16 სოც.-რევოლიუციონერი და 11 სოც.-დემოკრატი. სხდომაზე ცნობა მიიღეს, რომ კომიტეტი დაპატიმრებულია გენერალი ჩერკესის მიერ, რომელიც ძველი აღმასრულებელი კომიტეტის წევრების შეაგონებით მოქმედობსო. ვინაიდან ეს მოთხოვნა არ იქნა ასრულებული ჯარების უფროსნი გადაყენებულ იქნენ და აირჩიეს ახლები. ქალაქს დარაჯები იცავენ. ფოსტა ტელეგრაფს, ხაზინას და ბანკებსაც დარაჯობენ. მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა. ქალაქის თავი, მისი მოადგილე და გამგეობის წევრები სამსახურიდან გადადგნენ. თურქესტანის კომიტეტს და აგრეთვე იმიერ კასპიის მხრის ქალაქებს კერენსკის მიერ ხელ-მოწერილი ბრძანება გაეგზავნა, სადაც დაგმობილია ასეთი მოქმედება და მოთხოვნა, რომ გადაყენებული პირები დაბრუნებულ იქნან თავ-თავიანთ ადგილებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით იქნება წესიერება აღდგენილია. ტაშკენტში ჯარებიც გაგზავნეს.

# ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

**ლონდონი.** 14 სექტემბერი. ოფიციალური ცნობა. დილატურის და სენ-ქიულენის სამხრეთით წინ წავიწიეთ. ვესტე-გრავენფელდის გზის რაიონშიც წინ მივდიოდით. ამ რაიონში მტერს უკან დავახევიეთ 800 მეტრით. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 მეტი კაცი.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ჩამოვაგდეთ გერმანიის 17 აეროპლანი. ექვსი აეროპლანი დაუზიანეთ. ჩვენ დავკარგეთ ერთი აეროპლანი.

**ლონდონი.** 15 სექტემბერი. გერმანელები იერიშებით მოდიოდენ, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ საერთოდ 1615 კაცი მათ შორის 48 ოფიცერი.

**პეტროგრადი.** 16 სექტემბერი. მთავარი შტაბის ცნობით სამხრეთ-დასავლეთ და რუმინიის ფრონტებზე ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტზე ოგნოტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს ოსმალთა გამაგრებულ ადგილებზე და ტყვეები წამოიყვანეს. მენნეს სამხრეთ-დასავლეთით 30 ვერსის მოშორებით ერთ ჩვენს მოწინავე რაზმს ალყა შემოარტყეს ქურთებმა ჩვენმა რაზმა სროლით გაფანტა ისინი.

ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს მდინარე სტოხოდის რაიონში, დაბანაკებულ მტრის ჯარებში.

**რომი.** 16 სექტემბერი. კამონკის და ჯულიკარიის რაიონებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** 16 სექტემბერი. ქვეითი ჯარის მოქმედება დღეს უმნიშვნელო შეტაკებებით განისაზღვრებოდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 კაცი.

გერმანიის მფრინავებმა გუშინ იერიში მოიტანეს სამხრ. დასავლეთის ნაპირების მხრიდან, მათი მიზანი იყო ქვეყნის შუაგულში შემოჭრა. მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო ლონდონისაკენ გაფრენა, მაგრამ ქალაქამდე ვერ მიაღწიეს. ყუმბარები ჩაჰყარეს ქალაქებში სუფოლკში და ესექსში.

**რომი.** 16 სექტემბერი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 8 ოფიცერი და 216 ჯარისკაცი ხელდა დიდოლის რაიონში, ბრძოლის ხაზი გავასწორეთ.

**პარიზი.** 14 სექტემბერი. არბრ-დე სერნის სამხრეთით გერმანელები იერიშებით მოვიდენ, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ.

**პეტროგრადი.** ნაღმოსან „ოხოტნიკზე" გადარჩა 43 კაცი. ნაღმოსანის მთელი ოფიცრობა და „კომანდა" დაიღუპა".

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მტრის ჯარების სხვადასხვა ნაწილებში ჩვენმა მფრინავებმა 60 ფუთამდე ყუმბარები ჩაჰყარეს.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე გერმანელები გამოვიდენ მდ. ზბრუჩის აღმოსავლეთის ნაპირზე. ჩვენმა რაზმებმა მტრის გადმოსვლა შეაჩერეს.

# დეპეშა

**პეტროგრადი.** გაიხსნა დემოკრატიის თათბირი ჩხეიძის თავმჯდომარეობით. კამათია გამართული კოალიციონურ პრინციპის გარშემო. მენშევიკთა ფრაქციის დელეგატები წინააღმდეგნი არიან კოალიციის. 86 ხმით 51 წინააღმდეგ უარყოფილ იქნა კადეტებთან კოალიცია. თავი შეიკავა 71 კაცმა.

ყარაჯიანი.

# ახალი ამბები

**კათალიკოსის არჩევა.** კვირას, 17 სექტემბერს, სამღვდელოების კრებამ 241 ხმით საქართველოს კათალიკოსათ აირჩია კირიონი. მეორე კანდიდატმა—ლეონიდემ მიიღო 230 ხმა.

◆ **სასურსათო საკითხის გარშემო.** თფილისში დაბრუნდა ახალ-ქალაქისა და ახალციხის მაზრებში სურსათის შესასყიდათ გაგზავნილი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრი გ. დალაქიშვილი. ახალციხეში პური არ ყოფილა, მაზრაში კი მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის საკმარისი პური და მოიპოვება. კარგი მაცადინობით შესაძლებელია 100—200 ვაგონი კარტოფილის შეძენა. ახალქალაქის მაზრაში წარსულ წელს კარგი მოსავალი ყოფილა, მაგრამ 100 ვაგონი ხორბლეულობა უკვე გაუტანიათ გუმბრის მაზრაში, შესაძლებელი ყოფილა კიდევ 100 ვაგონი ხორბლის შეძენა, მაგრამ გლეხები თურმე სამაგიეროთ ფართლეულობას მოითხოვენ. ყველი და ერბო უკვე შეუძენიათ ჩარჩებს.

◆ **ფეხსაცმელები.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა აირჩია 7 კომისია, რომლებსაც დაევალა ფეხსაცმელებისა და კალოშების რაოდენობის გამორკვევა თფილისში. კალოშების ყიდვა დღეიდან შეიძლება მხოლოდ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

◆ **ღვინო** ახლო მომავალში მიეწყობა ღვინის ბარათებით გაყიდვა.

◆ **ახალი კოოპერატივი.** მე-4 უბნის სასურსათო კომიტეტის თაოსნობით ამ დღეებში გაიხსნება კოოპერატივი, რომლის წევრებად მიიღებიან მხოლოდ ამ უბნის მცხოვრებნი. წევრად ჩაწერა შეიძლება კომიტეტის კანცელარიაში (სოლომონოვის ქ. № 14).

◆ **შიმშილობის მოლოდინში.** სოფ. ძეგვიდან (გორის მ.) გვატყობინებენ, თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, მოსალოდნელია შიმშილობა.

◆ **საზეითლო ფაკულტეტი.** ხვალ კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა ზეითლების საბჭოს თაოსნობით შესდგება თათბირი თფ. პოლიტეხნიკუმში საზეითლო ფაკულტეტის გახსნის ან დორპატის საზეითლო ინსტიტუტის თფილისში გადმოტანის საკითხის განსახილველათ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ კაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. ზ. კლეპცოვი და სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

◆ **ნოე ჟორდანიას წიგნი.** გამოვიდა და იყიდება რ. ს. დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემული ნ. ჟორდანიას წიგნი. „საფრანგეთის რევოლიუცია 1848 წ." წიგნი სუფთათ არის გამოცემული, შეიცავს 120 გვ. და ღირს 65 კაპ. ვსთხოვთ ამხანაგებს და ორგანიზაციებს რამდენი ცალი დაჭირდებათ საჩქაროთ გვაცნობონ და ხურდი ფული თანვე გამოგზავნონ.

◆ **სკოლის ნაციონალიზაცია.** თფილისის ქალაქის კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს სკოლის ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარება, შემდეგს ატყობინებს თფილისის მცხოვრებთ: ახლო მომავალში განზრახულია გაიხსნას საშუალო სასწავლებელთა მოსამზადებელ კლასის დაბალი განყოფილებები და მაღალ პირველდაწყებითი სასწავლებლებში დაბალი კლასები. ამ განყოფილებებში და კლასებში სწავლება სამშობლო ენაზე იწარმოებს. ყველა საშუალებები იქნება მიღებული ყველა ეროვნებათა ინტერესების დასაკმაყოფილებლათ. ვისაც დაბალ განყოფილებაში უნდა შესვლა, მან თხოვნა უნდა მისცეს 1 ლ გიმნაზიაში ლულაძეს კომიტეტში წარსადგენათ. თხოვნაში აღნიშნული უნდა იქნას თუ რომელ ენაზე უნდა ასწავლონ მოწაფეს და აგრეთვე მოწაფის მისამართი; თხოვნების მიღება მხოლოდ 26 სექტემბრამდე გაგრძელდება. ეს ცნობები ეხება იმათ, ვისაც ჯერ არ შეუტანიათ თხოვნა არცერთ სასწავლებელში. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კანცელარიაში დღის 12—1 საათამდე.

◆ **ყრილობა.** ხვალ თფილისში გაიხსნება კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა. საორგანიზაციო ბიუროში არჩეული არიან ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრები.

◆ **ლექცია.** დღეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ"-ში პირუმოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მუშათა საკითხი და პროფესიონალური მოძრაობა" დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილების თანახმად, საქონლის ხორცი უნდა გაიყიდოს 70 კაპ. გირვანქა, ცხვრის ხორცი კი—80 კ. გ.

◆ **შეწირულება.** წ.-კ. გ. საზ. გამგეობამ მიიღო საზოგადოების სასარგებლოდ ომში უკვალოდ დაკარგულ ლუკა გუგუნაშვილის სახსოვრად რაჟდენ გრიგოროვისაგან 200 მ.

### კრებები და მიტინგები

დღეს, სამშაბათს, მეოთხე რაიონული კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. იწვევს მე 4 და მე-5 სამილ. უბნებში მცხოვრებთ პარტიის წევრთა საერთო კრებას. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოხსენება და 2) ახალი კოლექტივის არჩევნები. კრება მოხდება საღამოს 7 საათზე სახელოსნო სასწავლებელში (ეგზარხის მოედანზე). ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

# პროვინციის ქრონიკა.

**დ. ნაოღალევში** გაიხსნა სრულ უფლებიანი კლასიური გიმნაზია; საჭიროა მასწავლებლები. მისამართი: ადგილობრივი ფილიალური განყოფილების გამგეს.

**ს. დიდიჯიხაიში.** 2 სექტემბერს შესდგა დროებით აღმ. კომიტეტის კრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ვერაგულათ მოკლულ ამხ. ილიკო ქუთათელაძის ხსოვნას. ამხ. ილიკოს უმწეოთ დარჩენილ ცოლშვილის ერთდროულ დახმარებათ კრებამ გადადვა 300 მ. აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ყოველი ღონით ეცადონ ილიკოს ოჯახის უზრუნველსაყოფათ. აირჩიეს რევოლიუციის დაცვის კომიტეტი 7 კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან 5 ს.-დ. და 2 ფედერალისტი. 3 სექტ. მოხდა მიტინგი. ილაპარაკა სამტრედიიდან მოსულმა ჯარისკაცმა რევოლიუციის დაცვის კომიტეტის სახელით. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც, რომელთაც გაარკვიეს კორნილოვის შეთქმულება და საზოგადოთ შექმნილ დღევანდელ ვითარებას. მიტინგმა გადასწყვიტა ერთხმად მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას, რაც დეპეშით ეცნობა. კრებამ აგრეთვე დეპეშა გაუგზავნა კარლო ჩხეიძეს ავათმყოფობის გამო და უსურვა განკურნება.

# მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

17 სექტემბერს ამხ. გ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა. სიკვდილით დასჯის შესახებ მოხსენება გააკეთა კუზნეცოვმა (ბოლშ.) სიკვდილით დასჯის შემოღება—ეს შედეგია კონტრ-რევოლიუციონერების ბრძოლისა, ეს ღალატია დემოკრატიული პრინციპისა—სთქვა მომხსენებელმა. მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს მიზანს, ჯარში დისციპლინის აღდგენა—განმტკიცება შეუძლია მხოლოდ ორგანიზაციებს. ამიტომ სიკვდილით დასჯა გაუქმებულ უნდა იქნასო. მომხსენებელი არ ეთანხმება არც იმათ, ვინც მოითხოვს სიკვდილით დასჯის შემოღებას მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. მთელი ძალა-უფლება უნდა გადმოვიდეს ჩვენს ხელში, მაშინ კონტრ-რევოლიუციონერები საშიში არ იქნებიანო. თუ მოქალაქობრივი ომი დაიწყო, ცხადია, მაშინ ჩვენც უნდა ვიომოთ, თუ ისინი ჩვენს წინააღმდეგ იარაღს მიმართავენ, მაშინ ჩვენც იარაღით ხელში გავცემთ პასუხსო—ასე დაათავა თავისი მოხსენება. კამათიდან, გამოირკვა, რომ ყველა მოითხოვს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ფრონტზე, მაგრამ უმრავლესობას არც კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველათ მიაჩნია იგი სასურველათ, ამიტომ მხარს უჭერენ სიკვდილით დასჯის სავსებით გაუქმებას. მხოლოდ ერთი ნაწილი საბჭოსი მოითხოვს კონტრ-რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯას. მართალია, ამით კონტრ-რევოლიუციას ვერ მოვსპობთ, მაგრამ რამდენიმეთ მაინც შევაფერხებთ მის მსვლელობას; არევ-დარევას შევიტანთ კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკშიო.

მომხსენებლის რეზოლიუცია საბჭომ უარყო. ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ განიხილა სიკვდილით დასჯის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიკვდილით დასჯის აღდგენა, როგორც სასჯელის ზომა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოწონებულ იქნას. ამიტომ საბჭო მოითხოვს მის დაუყონებლივ გაუქმებას"!

მუშათა გვარდიის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ჯუღელი. რადგანაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია საყოველთაო შეიარაღების გაუქმება,—ჩვენ მომხრე ვართ საყოველთაო სახალხო შეიარაღებისა, რომ ამის საშუალებით მივაღწიოთ საერთო ზავს და საყოველთაო შეიარაღების გაუქმებასო—ამბობს მომხსენებელი. შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშათა შეიარაღების წინააღმდეგ წამოყენებულ ვითომდა „საბუთებს" და აღნიშნავს, რომ თვით ჯარისკაცებიც დაინტერესებული უნდა იყვნენ მუშათა გვარდიის შედგენაში, ვინაიდან დემობილიზაციის დროს და დღესაც, ასეთ გვარდიას დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს რევოლიუციას კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლით. რაც შეეხება იარაღის ნაკლებობას, ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვითხოვთ მთავარი ყურადღება მიექცეს ფრონტს, ჯარისკაცების იარაღით უზრუნველყოფას, მაგრამ თუ საეჭვო ღირსების პირებს, აშკარა თუ მალულ კონტრ-რევოლიუციონერებს კი აძლევენ დღეს იარაღს, რატომ არ უნდა მიეცეს იარაღი მუშებსო. ერთხმად იქნა მიღებული მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი მუშათა გვარდიის ტეხნიკურათ მოწყობის პროექტი*), რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია, რომ მუშათა გვარდიაში მიიღებიან სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალისტ-დემოკრატები ფრაქციის განურჩევლათო.

პოლკ. ს. ფედერ. ლეჟავა პროტესტს აცხადებს, რატომ მუშათა გვარდიაში ჩვენც არ გვიღებთო, რაზედაც შესაფერი პასუხი მიიღო მომხსენებლისაგან, მაშინ დაშნაკელებიც უნდა შემოვუშვათ გვარდიაში. ამით კი შესაძლებელი გახდება კონტრ-რევოლიუციონერებთან გადამწყვეტი შეტაკების დროს, თქვენ ერთმანეთს დაერიოთო. სხდომის დასასრულ საბჭომ მოისმინა რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლის რიგგარეშე განცხადება ახალციხეში მომხდარ ამბების შესახებ. ამჟამათ ახალციხეში სრული წესრიგი აღდგენილი.

ვ. ნიჟელარი.

*) მუშათა გვარდიის წესდების პროექტი ცალკე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

# გონს მოდით

I

„წითელმა მამალმა" იყივლა... გათენდა
თავისუფლების დილა მზიანი.
ჩაგრულთა უბნები დროშებით დამშვენდა..
აჟღერდა ჩანგი ამო ხმიანი.
შავ-ბნელი წეს-რიგი მიწაში ჩასვენდა,—
ნიშნათ სამარე მოსჩანს ჯვრიანი.

II

მაგრამ რა? ცხოვრების დიდი ზღვა კვლავ ღელავს,
ტალღები ტალღებს ისევ აწყდება;
ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ მახვილი კვლავ ელავს,
მსხვერპლი და სისხლი მაინც არ წყდება;
შიმშილი, წყურვილი წინსვლის გზას კვლავ ქსელავს,
მის ლაბირინთში ვინ უწყს რა ხდება!

III

„წითელო მამალო"! მითხარი, მახარე,
სად აქვს ტანჯვას ბოლო, საზღვარი,
და იმით დამტკბე, და იმით მახარე,
ამინთე გულში რწმენის ლამპარი,
თორემ, ჰა, შვებისა დროშა ძირს დავხარე,
სევდა მეუფლა, სევდა, საზარი!

IV

ეი! თქვენ, ერთმანეთს რომ ჰგლეჯთ და რომ წეწავთ,
რათ ემსგავსებით სულით სნეულებს?
ნუთუ მტერთ, სისხლის მსმელთ, კარებზე ვერ ხედავთ,
შიგნით და გარეთ შემოსეულებს?
გონს მოდით! თუ მართლა ერის ბედს კი სჭედავთ,—
ერთად ეკვეთეთ, ერთად, წყეულებს!

ვ. რუხაძე.

# ოზურგეთის ქალაქის საბჭო

11 სექტემბერს, შესდგა ახალი საბჭოს სხდომა დიდძალი [illegible] თანადასწრებით. სხდომა გახსნა ქალაქის თავის მოადგილემ [illegible] რომელმაც სიტყვით მიმართა საბჭოს და მოუწოდა სოლიდარული მუშაობისაკენ. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დიმ. ერისთავი (უპარტიო), მის მოადგილეთ ამხ. ს. ცხომელიძე. ესერებმა და ს.-ფედერალისტებმა თავი შეიკავეს. დიმ. ერისთავი ავათმყოფობის გამო სხდომას არ დასწრებია. ამიტომ მისი ადგილი დაიჭირა ამხ. ს. ცხომელიძემ. ქალაქის თავს დაენიშნა ჯამაგირი 300 მ. თვეში, მის მოადგილეს 250 მ.

ქალაქის თავად არჩეულ იქნა ამხ. ვიქ. დლონტი (16 თეთრი ხმა) მის მოადგილეთ— ამხ. მ. საბაშვილი (14 თ.—2 შ.) კრება დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით ხვდება მათ დარბაზში გამოცხადებას. ამხ. დლონტი მადლობას სწირავს საბჭოს ნდობისათვის თავისა და თავის მოადგილის სახელით. შემდეგ ის კითხულობს ს.-დემ. ფრაქციის დეკლარაციას რაშიაც აღნიშნავს, თუ რისთვის მიდიოდენ ს.-დემ. ქალაქის თვითმართველობაში, რის განხორციელებას სცდილობენ ისინი საზოგადოთ და კერძოთ რის გაკეთებას შეეცდება ოზურგეთის ქალაქის საბჭოს ს.-დემ. ფრაქცია. მ. ქარქაშვილი (ს.-რ) თავის ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ის უერთდება ს.-დემ. დეკლარაციას, მხოლოდ უარყოფს კაპიტალიზმის გაძლიერების საჭიროებას, ს.-ფ. დოლიძეც უერთდება დეკლარაციას, მხოლოდ მოითხოვს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას, რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას და მიწის სოციალიზაციას.

შემდეგ საბჭო ადგენს: მისალმების დეპეშა გაუგზავნოს თფილისის, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის ქალაქის საბჭოებს. ამის შემდეგ ირჩევს სარეკომენდაციო კომისიას. 40—50 წუთის შემდეგ კომისია უდგენს საბჭოს სიას, რასაც საბჭო ამტკიცებს. არჩეულ იქნა: სასურსათო, სარევიზიო, სანიტარული, სამეურნეო-სამშენებლო, შემფასებელი, სასკოლო, საფინანსო და საფთიაქო კომისიები.

საბჭომ დაადგინა, გაიხსნას ქალაქის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელში ერთი პარალელური კლასი ქალაქის ხარჯზე.

ხ—ნ.

# პირველი სომეხი სოციალისტი—მ. ნალბანდიანი.

(ქ-ნ მარიეტა შაგინიანის ლექცია)

დიდი ინტერესითა და ცნობის მოყვარეობით მივდიოდი ქ-ნ მ. შაგინიანის ლექციაზე, რომელსაც მიზნათ დაესახავს გაეცნოს ფართო საზოგადოებას პირველი სომეხი სოციალისტი—მ. ნალბანდიანი. ნალბანდიანის არც ერთი თხზულება არ არის გადათარგმნილი რუსულ ენაზე. ეს გარემოება უფრო აძლიერებს ცნობის მოყვარეობას, გინდა ისარგებლო შემთხვევით და გაიგო რას ქადაგებდა, ეს პირველი სომეხი სოციალისტი.

ლექციის პირველ ნაწილში ლექტორი შეეხო მ. ნალბანდიანის ბიოგრაფიას, მის პიროვნებას; მეორე ნაწილში გაარჩია მისი მთავარი თხზულება „სოციალისტური ტრაქტატი".

დონის ნახიჩევანში სწავლის დამთავრების შემდეგ, მ. ნალბანდიანი მსახურებს სომხის კათალიკოსთან ბესარაბიაში, აქედან იგი მიემგზავრება მოსკოვში და ეწაფება ცოდნის შეძენას, იღებს მონაწილეობას ჟურ. "Сѣверное Сіяніе"-ში, რომელსაც სახელმწიფოს ხარჯზე სცემდა სომხებისათვის პროფ. ნაზარიანი. შემდეგ ნალბანდიანი მიემგზავრება ევროპაში, სადაც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხალხის მონობისაგან განსათავისუფლებათ საჭიროა შეიარაღებული ძალაო. სომეხთა დავალებით ის მიდის ინდოეთში, გზაში, შეივლის ყველა საყურადღებო ქალაქებში, სადაც ეცნობა მაშინდელ რევოლიუციონურ აზროვნებას... მ. ნალბანდიანი ახლო მეგობარი ყოფილა ბაკუნინის, მჭიდრო კავშირი ჰქონია მე 60 წლების მოღვაწეებთან. ბაკუნინი ახასიათებს მას როგორც ერთგულ, მოქმედ და მასთან მოხერხებულ ადამიანს.

„სოციალისტურ ტრაქტატი"-ს (რომელიც მ. ნალბანდიანს 1862 წ. დაუწერია ლონდონში) პირველ ნაწილში ავტორი ეხება საერთოდ ეკონომიურ უთანასწორობას ევროპაში და ასეთ გულუბრყვილო, უტოპიურ საშუალებას გვაწვდის ამ უთანასწორობის მოსასპობათ: ყველა, ვისაც ევროპაში მიწა არა აქვს, გადასახლდეს ველურ ქვეყნებში, მაგ. აფრიკაში და იქ მოჰკიდონ ხელი მიწის მუშაობას, და უთანასწორობა აქაც რომ არ დამყარდეს, მიწა არავის არ უნდა მიეცეს კერძო საკუთრებითო.

მეორე ნაწილში მ. ნალბანდიანი ეხება ოსმალეთის სომხეთის მდგომარეობას. მისი აზრით, აქ გლეხობა გაპროლეტარების გზას ადგია, წვრილი ვაჭრები ნახევრათ პროლეტარები ხდებიან, ხოლო რაც შეეხება სხვილ ვაჭრებს, ისინი კარგავენ ეროვნულ ხასიათს და სხვა ერებში ითქვიფებიანო. ერთად-ერთი ხსნა—ეს ყველა სომხების სომხეთში დაბრუნება და მიწათ-მოქმედების განვითარებაა. უნდა განხორციელდეს, მიწის სოციალიზაცია და ყველამ მიწის დამუშავებას მიჰყოს ხელიო.

მესამე ნაწილში მ. ნალბანდიანი ეროვნებისა და კაცობრიობის ურთიერთობას ეხება და აღნიშნავს, რომ ეროვნება—ეს ისტორიული ფაქტორია და მას აუცილებლათ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ნალბანდიანს მატერია-

ლისტობას აბრალებდენ, რასაც იგი ასეთ მოსაზრებით უარყოფს: ჩვენ გამოვდივართ არა ფაქტებიდან არამედ იდეებიდან და არც შეგვიძლია მატერიალისტები ვიყოთო.

ასეთია, ლექტორის გადმოცემით, მოკლეთ მ. ნალბანდიანის მოძღვრება. იგი ლექტორის თქმით დარწმუნებული ყოფილა, რომ პოლიტიკური თავისუფლება ვერ გაანთავისუფლებს ხალხს მონობისაგან, თუ მან არ მოიპოვა ეკონომიური თავისუფლება.

როგორც მკითხველი ხედავს, მ. ნალბანდიანის მოძღვრებაში ბევრი წინააღმდეგობაა, მას აკლია აზრის თანდათანობითი განვითარება, შესაფერ მიზეზებიდან შესაფერი დასკვნების გამოყვანა. ეს ადვილი ასახსნელიცაა, თუ მოვიგონებთ, რომ „სოციალისტური ტრაქტატი" დაწერილია 1862 წელს, როდესაც უტოპიურ სოციალიზმის ნანგრევებზე ფეხს იკიდებდა მეცნიერული სოციალიზმი. აი სწორეთ ამ გარდამავალ ხანის ბეჭედი აზის მ. ნალბანდიანის მოძღვრებას. როცა ეკონომიურ ფაქტორს უდებს სარჩულად თავის მოძღვრებას, იგი უახლოვდება მეცნიერულ სოციალიზმის მეთოდს, ხოლო როცა მატერიალისტობას უარყოფს ზემოთ მოყვანილი მოსაზრებით და მიწათ მოქმედებისაკენ მოგვიწოდებს, ეს უკვე უტოპიზმის სამეფოში შეტოპვაა.

ვენ—ხონ.

# მგზავრის წერილი

ეგრეთ წოდებული „მეშჩანები", „ენით" მოქმედობენ და მოქმედობენ ანგარიშ გაუწევლად. ასეთი ხალხის „სალაპარაკოთ" მატარებელი საუკეთესო ადგილია. აქ გაეცნობიან რა ისინი ერთმანეთს გააბამენ მოპორილ, მოგონილ სჯა-ბაასს.

7 სექტემბერს თფილისიდან გაყემგზავრეთ. კანტროლ-მილიციონერებმა პირთვნების შემოწმება და აქა იქ ჩხრეკაც დაიწყეს. ჩვენი ვაგონიდან ერთი ებრაელი წაიყვანეს თავისივე ნავაჭრით და ერთ მანდილოსანს მაგარი სასმელები აღმოუჩინეს ტანზე, ტანისამოსის შიგნით შემონახული და ისიც თან გაიყოლეს.

ამის გამო ზოგიერთმა მგზავრებმა იშოვეს საბაბი და შეუდგნენ მთავრობის კრიტიკას.

ვილაცას თავის დროზე ნახშირი ვერ მიუღია და ეს ყოფილა კერენსკის ბრალი...

თფილისში პურზე ბარათების შემოღება თურმე ნიკო ელიავას ბრალი ყოფილა...

პურის გაძვირება—ეს წერეთელ-ჩხეიძეს მოუწყობიათ.

შაქრის გატანის აკრძალვა საბჭოებმა ბრძანესო—და ბევრი სხვა ამნაირი პორები შეიქნა სალაპარაკო თემა...

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ბოროტებაც,—როგორც მაგალითად, კონტროლიორ მილიციონერები, ართმევენ სოთჯახოთ ნაშოვნ მცირე სურსათ-სანოვაგეს და სხვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლიუცია დამნაშავე იყოს. განა შეუძლია რაიმე ძალას ერთი ხელის დაკვრით მოსპოს ყოველგვარი ბოროტებანი?

ისმენ ამ ვითომდა გულ უბრყვილო ხალხის მუსაიფს და ის დასკვნა გამოგყავს, რომ სწორედ ამ ხალხს ძალუძს ასულდგმულოს კონტრ-რევოლიუცია, სწორედ ასეთ ხალხში ჰპოვებს კონტრ-რევოლიუცია გაპოხიერებულ ნიადაგს.

ხაქარელი მ.

# სოც.-დემ. პარტიაში.

## თფილისი.

12 სექტემბერს, მეოთხე რაიონის პარტიული საზოგადო კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვალ. ჯუღელმა ს.-დ. გაერთიანებული ყრილობის შესახებ. სანამ მომხსენებელი ყრილობის მუშაობას გააცნობდა კრებას, მოკლედ შეეხო მოსკოვის თათბირს. გაერთიანებულ ყრილობას დაესწრო დაახლოვებით ხმის უფლებით 225 დელეგატი. ყრილობაზე ოთხი მიმდინარეობა იბრძოდა, მაგრამ საგრძნობელ ძალას მხოლოდ ორი მიმდინარეობა წარმოადგენდა. ერთი მხრივ ეგრედ წოდებული „ობორონცები" ამხ. წერეთელის მეთაურობით, მეორე მხრივ—„ინტერ-ნაციონალისტები" ამხ. მარტოვის და მარტინოვის მეთაურობით; მეუმრავლესეთ წარმომადგენელნი ყრილობაზე არ ყოლიად. უმთავრეს საკითხებად ყრილობაზე ითვლებოდა დემოკრატიის დამოკიდებულება ბურჟუაზიასთან და ომი და ზავი. ხსენებულ საკითხების შესახებ ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ამხ. წერეთლის და ლიბერის რეზოლიუციები. მომხსენებლის გადმოცემით ყრილობაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ხმებს. თუ რა ნაირი იყო რეზოლიუციები აქ მათი მოყვანა ზედმეტია, ვინაიდან უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. შემდეგ მოხსენებაში საინტერესოა მასლოვის გამოსვლა ყრილობაზე მიწების საკითხში. მასლოვის გამოანგარიშებით მემამულეთ ჩამოერთმევა დაახლოვებით 35 მილიარდი მანეთად ღირებული ქონება, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს, ხოლო ნაწილი ამ საფასურის, დაახლოვებით ერთი მეექვსედი უნდა გამოიყოლოს სახელმწიფომ. როგორც მოხსენებაში აღინიშნა, ამხ. მასლოვის გარშემო საკმაოდ საგრძნობელ ჯგუფს მოეყარა თავი. მასლოვის რეზოლიუცია ცხადია, უარყვეს. მიღებულ იქნა უფასოდ მამულების ჩამორთმევა და სახელმწიფოზე გადაცემა. ნაციონალური კითხვა უსიცოცხლოდ იარჩოდა სექციებში და არავის თითქმის არ აინტერესებდა. საინტერესო ყრილობაზე სოციალისტ-მინისტრების მოხსენება, სადაც დაამტკიცეს აუტანელი მდგომარეობა სანოვაგის და ტრანსპორტის საქმეში. სხვათა შორის მოხსენებაში ნათქვამია, რომ შეიძლება ახლო მომავალში შეწყდეს მატარებლების მიმოსვლა ორთქლ მავალების უქონლობის გამო. სანოვაგის შესახებ კიდევ უარესი მდგომარეობაა, ვინაიდან გლეხები არ იძლევიან პურს და მოითხოვენ, რომ უზრუნველყოთ ფართლეულობით და სხვა საჭირო ნივთეულობით. უკანასკნელად ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 27 კაცისაგან. მათში 16 „ობორონცი", 9 „ინტერნაციონალისტი", 2 ბუნდოველი.

ყრილობის დახურვის დღეს დელეგატები უკვე წასულიყვნენ და პრეზიდიუმის წევრებიდან მხოლოდ ამხ. წერეთელი იყო, რომელმაც ყრილობას გამოსასალმებელი სიტყვა უთხრა. ყრილობა დაშლილი იყო როდესაც კორნილოვის გამოსვლა გაიგეთ, მაგრამ აღარ მოწყვა ყრილობას თავისი აზრი გამოეთქვა მომხდარ ამბებზედო, საერთოდ, მომხსენებელმა სთქვა: ის კითხვები, რომლებიც ამხანაგებს შორის ბრძოლას იწვევდა, დღეს კორნილოვებმა გადაჭრეს და ვფიქრობ, ორი აზრი ზოგიერთ მათგანზე მაინც აღარ არსებობსო. მიუხედავად ამისა, რომ ყრილობაზე სამწუხაროდ ერთი ნაწილი ჩვენი პარტიისა მონაწილეობას არ ღებულობდა, ყრილობის მუშაობა მაინც საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგაო.

მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა. კრებამ მოისურვა მოხსენებიდან ზოგიერთი კითხვების გარჩევა, მაგრამ, რადგანაც გვიანი იყო, წინადადება მისცა რაიონის პრეზიდიუმს ახლო მომავალში მოიწვიოს საზოგადო პარტიული კრება, სადაც გაირჩევა კითხვები, როგორც მოხსენებიდან, აგრეთვე მიმდინარე მომენტზე.

ამ. ბუკია.

16 სექტემბერს შესდგა კრება ახლად არჩეულ მეორე სამილიციო კომიტეტისა. დღის წესრიგი იყო სამოქმედო გეგმის შემუშავება და პრეზიდიუმის არჩევა. პრეზიდიუმში შედის 5 კაცი. წევრობიდან გამოირიცხება ვინც ორჯელ ზედიზედ არ დაესწრება კრებას და არც საპატიო მიზეზს წარმოადგენს. კრება ხდება 15 დღეში ერთხელ. საზოგადო კრება კი თვეში ერთხელ. თუ საჭიროებამ მოითხოვა, უფრო ხშირადაც. კომიტეტს ევალება გააძლიეროს პარტიული მუშაობა, შეიძინონ წევრები, გახსნან სამკითხველო, პარტიული კლუბი, გამართონ ლექციები თანამედროვე კითხვებზე, წარმოდგენები და სხვა. კომიტეტს უნდა ქონდეს საკუთარი ბეჭედი და მიიღონ წევრები პარტიული პროგრამის თანახმად. პარტიულ საზოგადო კრების გასაადვილებლათ და ფონდის შესაგროვებლათ პარტიის წევრები იხდიან ერთმანეთ შორის ათისთავებს. პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. კაიტმაზჯიანცი, ს. თავართქილაძე, ეგიაზაროვა, ნ. ჯიბლაძე და ომანიძე, სარევ. კომ. წევრებათ: ფირცხალავა, დ. პელიძე და გიორგიშვილი.

—ა.

11 სექტემბერს მესამე სამომრიგებლო განყოფილებაში შესდგა მეცხრე უბნის ს.-დ. ორგანიზაციის კოლექტივის კრება, რომელზედაც ამხ. კ. ხახანაშვილმა მოხსენება გააკეთა ქალაქის გამგეობისაგან ჩერქეზიშვილის მოედანზე ბაღის სადარაჯოს დათმობის შესახებ კოლექტივისთვის. კოლექტივმა გადასწყვიტა გამოიყენოს ეს ბინა მუდმივი ბიუროს და კიოსკის მოსაწყობად, რომელშიაც გაიყიდება პარტიული ლიტერატურა და დაურიგდება გაზეთები უბნის ხელისმომწერლებს. ამავე სხდომაზე გადაწყდა გაცხოველდეს პარტიული და საზოგადოთ კულტურულ განმანათლებელი მუშაობა უბანში. ამ მიზნით არჩეულ იქნა კომისია 5 ამხანაგისაგან: კ. ხახანაშვილი, ს. ქიტიაშვილი, ნ. გვანცალაძე, პ. გაჩეჩილაძე და დ. დლონტი, რომელსაც მიენდო მოწყობა უბანში ლექციებისა, წარმოდგენებისა, მოზრდილთათვის წერა-კითხვის საკვირაო სკოლებისა და სხვა.

ი, მ.

# მუშათა შორის.

**ძ. ბჟათურა.** პიათურის სამრეწველო დარგი ეს ერთი წელიწადია თავდაცვის სამუშაოთ იქნა აღიარებული და ანთავისუფლებდა მუშებს სამხედრო ბეგრისაგან. ამის გამო მოაწყდენ აქ მუშები ჩასაწერათ და აგრეთვე არა მუშებიც. ოღონდ თავი დაეღწიათ სამხედრო სამსახურისთვის და ვინ კითხულობდა, სამუშაო იყო თუ არა? ამით გათამამებულნი მრეწველნიც,—თუ ესაჭიროებოდათ ათი კაცი ქარხანაში, სამუშაოზე სწერავდენ ას კაცს; რევოლიუციის დაწყებამდე ჩაწერილი იყო თითქმის 7000 კაცამდე, რომელთაგან ნახევარზე მეტი არა მუშები იყვნენ; რევოლიუციის დაწყების შემდეგ ამას მთავარი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც დანიშნა საკონტროლო კომისია. კომისიამ ნახევარზე მეტი არა მუშები მოხსნა სამუშაოს და აღარ გაატარა სიაში. ამის შემდეგ სოფლებში ჩხრეკის დროს, აღმოჩნდა ყალბი საბუთები, რომელიც ჩამორთმეულ იქნა. გამოირკვა, რომ თავდაცვის კომისიის სახელით უსარგებლია ერთ ჯგუფს, რომელიც სისტემატიურათ ატარებდა არა მუშებს, რის გამორკვევის შემდეგაც კომისიამ დააპატიმრა რამდენიმე პირი.

რაჭველი მუშა.

**თფილისი. ხასტ. „ავრორა".** ჩვენ 6 კაცი ვმსახურებდით ზემოხსენებულ სასტუმროში; 6 თვის განმავლობაში ყოველივე გასაჭირს და უსაზღვრო შრომას ვიტანდით ბატონ ალხაზიშვილის და მისი კანტორის მოხელის წყალობით. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი შრომა დაეფასებია, ჩვენი ფული, პროცენტის სახით მოგროვილი,—თითქმის ორასი მანეთიც, მან მიითვისა. რამდენიმეჯერ მივმართეთ პირადათ და კაცის საშუალებითაც, მაგრამ პასუხათ ეს მივიღეთ: თუ გნებავთ იმუშავეთ, თუ არა მიბრძანდითო. ჩვენც იძულებული გავხდით თავი დაგვენებებია და ჩვენი ხვედრი ფულის მისაღებათ, რომელიც მან მიითვისა, საჩივარი აღვძვრა. ასეთ საქმეს ჩადის ის ადამიანი, რომელსაც თავი მუშების დამცველათ მოაქვს. ხელს ვაწერთ: ილიკო ბაქრაძე, ილიკო ქოიავა, ანდრია ქოიავა, დათიკო თავართქილაძე, ნესტორ ქაჯაია და ევდოკია პიტოევა.

**ნავთლუღი.** არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევეხო ნავთლუღის სადგურის დამტვირთავ მუშების ერთ ჯგუფს, რომელიც 5 კაცისაგან შესდგება. იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა განსაცდელშია, როდესაც ყველა ამხანაგი ვალდებულია ასეთი კრიტიკულ მდგომარეობას თავის შესაფერი პასუხი გასცეს და შეერთებულის ძალით იაროს რევოლიუციის დასაგვირგვინებლათ,—ასეთ სავალდებულო შრომისთვის თავი დაუნებებია ამ ჯგუფს და ცეკვა-თამაშისა და მანქვა-გრეხობისაკენ არის მიქცეული მათი გონება. როდესაც ასეთ არასასურველ გართობით დაკმაყოფილდებიან, მერმე გაშლიან ბანქოს და შეუდგებიან თამაშს. სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ამხანაგები სხვას უქადაგებენ ბანქოს თამაშის უვარგისობას და თვითონ კი თამაშობენ და თავს ასე იმართლებენ: ეს ხომ ხელობა არ არის ჩემიო; თავს ვიქცევ, ზედმეტს მაინც არ წავაგებო და სხ.

№

# ჯარის-კაცთა წერილები.

**ხნისის რაიონი.** გაზეთების კითხვა აუცილებელი და საჭირო შეიქნა ჩვენთვის. ყოველ დღე დიდის აღტაცებით და მოუთმენლათ ველოდებით ფოსტის მომტანს მივიდეთ თუ არა, იმ წამსვე ერთ მიჩნეულ ადგილს—„პალატკის" წინ შევიკრიბებით და ვუსმენთ ამხანაგს, რომელიც გაზეთს კითხულობს, კითხვის შემდეგ გაზეთიდან აღებულ რომელიმე საგანზე ვიწყებთ მსჯელობას... დღევანდელი მსჯელობის საგანია 20 აგვისტოს გაზეთ „ერთობაში" მოთავსებული ამბავი—ილიკა მოსეს ძე ქუთათელაძის ნაძირალების მიერ მოკვლის გამო. ეს მკვლელობა ჯარისკაცებს გვამწუხრებს, და კითხვას გვიბადებს:... ნუ თუ კიდევ ვერ ჰგრძნობენ ეს ნაძირალები, რომ ილიკოს მოკვლის შემდეგ ყველა და კიდევ უფრო ერთგულათ შეუდგებიან იმ საქმის სამსახურს რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა.

ხნისიდან 3 ვერსის მანძილზე დაქირავებულ მუშებთან ერთათ მუშაობენ მე-7-დე როტის ჯარისკაცები, 200-დე კაცი. აქ მუშები აუტანელ პირობებში იმყოფებიან; მუშები გზას კვნწავენ. დიდ შეურაცხყოფას აყენებს მუშებს, სხვებთან ერთათ, ტეხნიკი სადოვსკი. აქ მუშა და არა მუშა დაჯილდოვებულია დედის თუ ცოლის გინებით და არც ნამუშევარ ფულს იძლევიან თავის დროზე; ფულის დროზე მოუცემლობის მიზეზი გახდა აქ ვასო ლაშქარაშვილის 3 სექტემბერს გარდაცვალება. ცოტა შეუძლოთ რომ იგრძნო თავი, ის მივიდა სადოვსკისთან და სთხოვა:—ბატონო, რადგან თავს ავათ ვგრძნობ,—გამისწორე ანგარიში, მომეცი ნამუშევარი ფული რაც მეკუთვნის, ერთს სახლში მაინც გადავავლებ ცოლ-შვილს თვალსო", მაგრამ ტეხნიკმა ყურადღება არ მიაქცია და უზრდელი სიტყვებით გარეთ გამოისტუმრა, ამის შემდეგ არ გასულა ორი დღე, რომ კიდეც განუტევა სული. საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს ტეხნიკის ასეთ თავგასულობას, მიექცეს ყურადღება.

ჯარისკაცი მახაზ გ. ფარულავა.

**დ. ნაოლაღვი.** ამ პატარა წერილით იმ ამხანაგ ჯარისკაცებს მინდა მივმართო, რომლებიც ნიკოლოზ რომანოვის ტახტის დასაცავათ თავს სდებდენ, ზოგიერთებმა ორ წელიწად ნახევარი სანგრებში გაატარეთ, რათა შენიშვნა არ მიგეღოთ. ცხოვრებას ატარებდით რკინის დისციპლინის ქვეშ, თქვენი თვიური ჯამაგირი უდრიდა 75 კაპ. და ხშირად იმასაც არ ღებულობდით და დღეს, როდესაც თავისუფლების მზემ ამოაშუქა და ჯარისკაცის ცხოვრების პირობები გამოკეთდა და როდესაც ხალხმა მიიღო თავისუფლება და როდესაც ბრძოლა ორჯერ მეტათ საჭიროა,—თქვენ უღალატეთ თქვენს ძმა-ამხანაგებს. გამოქცეულხართ ბრძოლის ველიდან და დანაპარდლობთ სოფლებში და თავს თავისუფალ მოქალაქეებათ თვლით. თქვენ უნდა იცოდეთ ამხანაგებო, რომ ჩვენ, ჯარში მყოფნი კარგის თვალით არ ვუცქერით თქვენს ასეთ მოქმედებას.

ჭკუაზედ მოდით,—ვის ღალატობთ? თავისუფლებას ვისზედ ყიდით? დაბრუნდით თავის ნებით თქვენ თქვენ ნაწილებში ამოგვიდექით მხარში და შეერთებულის ძალით შინ ზარი დავსცეთ გარეშე და შინაურ მტრებს.

ჯარისკაცი გ. ბერულავა.

# პროვინციის ცხოვრება

**ნიკორწმინდა.** (რაჭა). 20 წელია, რაც მცხოვრებთა შორის დავაა სასწავლებლისთვის ადგილის არჩევის გამო, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ერთ მხარეზე დგას ცხრა სოფელი: პელიაღელე, აგარა, უყეში, სალხინო, ბლუ-ლი, ხოტევი, წყაღისი, სხარტალი და ს. კაჩაეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა. ესენი მოითხოვენ შუა ადგილს გახსნას. მეორე მხარეზე—ს. ნიკორწმინდა და კაჩაეთის უმნიშვნელო ნაწილი მოითხოვენ საზოგადოების განაპირა ადგილს ს. ნიკორწმინდაში მოედანზე. პირველთა მოთხოვნა ფრიად პატივსაცემია და სამართლიანია, ხოლო მეორეთა—უარსაყოფი და უსამართლო, რადგან უმცირესობა მოითხოვს საზოგადოების განაპირა ადგილს და ცდილობს, თავის სურვილი ძალით თავს მოახვიოს უმრავლესობას. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ 6—7 წლის წინეთ დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ უმცირესობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია უმრავლესობისთვის და სასწავლებლისთვის შენობის ასაშენებელ ადგილათ „შაშაური" მიეღოთ. მიწა იყიდეს 8,000 მანეთად. მაგრამ განვლო მცირეოდენმა ხანმა და ეს საკითხი კვლავ გადასაჭრელათ დაგვიდგა წინ.

რა მოხდა ასეთი, რომ დიდი ვაი-ვაგლახით შეთანხმებული ხალხი კვლავ გაითიშა და ერთი-მეორეს დაუპირდაპირდა? საქმე შემდეგშია: რევოლიუციის შემდეგ ტყეები უპატრონოდ დარჩა. ტყეები უნდა გადასულიყო ადგილობრივ ადმ. კომიტეტის ხელში. ნიკორწმინდელებმა ადმ. კომიტეტს უნდობლობა გამოუცხადეს, აირჩიეს თავისთვის ტყის კომიტეტი და სახელმწიფო, საერთო სიმდიდრე, თავის კერძო საკუთრებათ გამოაცხადეს: მთა ჩვენ გვეკუთვნის, ხოტეველებმა და თლუღელებმა თავის ხვედრი,—კი ხანია დასწვეს და აქ მათ ხელი არა აქვთო. ტყე ჩვენთან ახლოს არის, ამიტომ ჩვენ გვეკუთვნისო—აი როგორ მსჯელობენ ნიკორწმინდელები! საზოგადოებაში ამ ნიადაგზე არეულ-დარეულობამ იჩინა თავი, რამოდენიმე მილიონათ ღირებული ნაძვნარი მთა უმოწყალოთ იჩეხება და ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანოები უძლური აღმოჩნდენ საკუთარი ძალღონით წინ გადაღობოდენ ასეთ არა სასურველ მოვლენას. დახმარება არსაიდან სჩანს. სასწავლებლისა და ტყის გარშემო ატეხილ დავით ხალხის გათიშვამ ხალხის მტრები აღაფრთოვანა. მათ წამოაყენეს ნიკორწმინდის დანარჩენ სოფლებიდან გამოყოფა და ცალკე სამმართველოს დაარსება. სასწავლებელ ეწოდება ნიკორწმინდის უმ. პირ.-დაწყებითი სასწავლებელი, ტყეს ნიკორწმინდის ტყე და მთა და სხ. და თუ ნიკორწმინდელები ცალკე წავლენ, სახელიც მათი საკუთრება იქნება და სახრავიც; დანარჩენი ცხრა სოფელი კი ზოგიერთების აზრით პირში ჩალა გამოვლებული უნდა დარჩნენ. დაბოლოს ზოგიერთებმა იგრძნეს-რა შეთანხმების აუცილებლობა, არჩეულ იქნა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ყველა სოფლებიდან ათი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა ამოერჩია ორ სადავო ადგილში შესაფერი. ამავე კრებამ მიიღო-რა მხედველობაში აგრეთვე, რომ საზოგადოების გაყოფას სარჩულათ უდევს სასწავლებლისა და მთის საკითხი და მოსალოდნელია ამის შემდეგ უთანხმოების უფრო გამწვავება, საჭიროთ დაინახა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

დასასრულ ნიკორწმინდელ მშრომელ ხალხს მოვუწოდებთ,—ნუ აჰყვებიან შურის ჩამომგდებთ. ჩვენ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი არ გვაქვს. საჭიროა კინკლაობას ბოლო მოეღოს და საქმეს შევუდგეთ; სირცხვილია, რომ ჩვენ ერთმანეთში ვერ მოვრიგებულვართ.

დროა ჩავუფიქრდეთ მდგომარეობას.

მოუხვენარი.

**მცხეთა.** აგერ ორი კვირაზე მეტია რაც მცხეთის ფურნეში და თორნეში პურს აღარ აცხობენ უფქვილობის გამო, რამაც გასაჭირში ჩააგდო როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ისე მგზავრი ხალხი. ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებთ კიდევ არა უჭირთ რა, რომელნიც ხვნა თესვას მისდევენ, მაგრამ სამწუხარო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული დროებით აქ მცხოვრებნი. ეხლა ამას ზედ დაურთეთ მომავალი დღესასწაული (მცხეთობა) და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება მცხეთა. მომსვლელმა საზოგადოებამ მხედველობაში უნდა იქონიონ საზოგადოთ ყველგან გამწვავებული შიმშილობა და მერე ზემოთ აღნიშნული და ამის მიხედვით ან სულ დასთმონ წირვანდელი დღეობა, ან არა და, თავისი ხარჯით მოვიდნენ, თორემ მშიერნი დარჩებიან. უკეთესი იქნება თუ სადღესასწაულოთ არ მოვლენ. აქაურ სასურსათო კომიტეტი ვერ იჩენს შესაფერ საქმიანობას საჭიროა თვით საგუბერნიო კომიტეტმაც მიაქციოს ყურადღება მცხეთას, მით უმეტეს, რომ აქ როგორც გზა ადგილი, ბევრი მიმავალ-მომავალი ხალხი ხვდება. ერთი სიტყვით, თუ ამ ცოტა ხანში რაიმე საშუალება არ გამოინახა, შეიძლება რაიმე უბედურება დატრიალდეს. დღეში ათი თორმეტი ტომარი ფქვილია საჭირო მცხეთისთვის.

გ. ზ. დეკანოზიშვილი.

**დ. ჩოხატაური.** (გურია). 14 სექტემბერს შუადღის 4 საათზე აქ ერთი უბედურება კინაღამ დატრიალდა. ძალზე გალეშილები პეპე ივანეს ძე ერისთავი, [illegible] ძე ჯაყელი (პრაპ.), ჯარისკაცი [illegible] და ვიღაც უნდობელ [illegible], რომლებმაც ხმლით [illegible] ჯინჭარაძეს. ამ ყიალ-მაყალმა გამოიწვია მილიციონერების საქმეში ჩარევა, ხოლო ამ ჩარევამ უფრო გააბრაზა ეს ყე-ბატონები და მილიციონერების წინააღმდეგ იარაღს მიმართეს და კინაღამ გულშემზარავი უბედურება მოხდა. თოფი სამჯერ გაისროლა ხალხისკენ, მაგრამ საბედნიეროდ არავის მოხვედრია, რადგან ძალზე მთვრალი და აღელვებული იყო ბ. ჯაყელი, რის შემდეგ ვაივაგლახით იარაღი აჰყარეს ჯაყელს და ერისთავს და წაიყვანეს კომისარიატში.

ასეთივე შავრაზმული მოქმედება ამ მუქთა ხორა ყე-ბატონებისაგან პირველი არ არის, როგორც სოფლად, ისე დაბაში. საჭიროა ამათ დაუნდობლად ალაგმა ასეთ ადგილობრივმა ხალხის რევოლიუციონურმა ორგანოებმა.

მგზავრი.


**ექიმი ივანე თიკანაძე**
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

**ექიმი ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი
**ექიმ გ. ი. მოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ, და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმი
**დ. ი. ქორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
**ვლ. ი. თავართქილაძე**
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტეხნიკური ქუჩა, № 4

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

**ექიმი კ ი გვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანთ ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელისლოვერიდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისში
**ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლში.

ქ. ქუთაისში.
**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**
იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისისა, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

**კანტორა**
**„განათლება"**
უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „ერთობას", „ეშ. მათრახს", „Борьба"-ს, „სახალხო საქმეს", „საქართველოს", „ალიონს", „Кавк. Рабочи" ს, „ბრძოლას", „სოფლის მუშას", „Республика"-ს, „თეატრი და ცხოვრებას", „ფიქრს", „კავშირს" და ყველა ახლად გამოსულ ჟურნალ გაზეთებს და წიგნებს.
კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი", ს. დ. მოღვაწეები საქართველოში, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა", პეტროგრადიდან მიღებული სხ. და სხ. ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნისიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ.